# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

№ 79 (5680)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## მმართველი პარტია რესპუბლიკელებს პოზიციას უწუნებს

2



## ოპოზიცია პარლამენტისთვის ემზადება

5

◎ განსჯა



## დედებო, შვილები მაგრად ჩაიკარით მკერდში!

◎ კანონი და ჩვენ



## საკუთრების ხელყოფა უმძიმესი დანაშაულია

5-8

◎ „რიტორიკული" კითხვები

რატომ უნდა უვლიდეს დღევანდელ „აყვავებულ" საქართველოში „რატომღაც" უსახსროდ დარჩენილი და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთს გადახვეწილი ქალბატონი ხათუნა იოსელიანის დონის ხელოვანი ვილაც გაბღენძილი ამერიკელის დავრდომილ დედას თუ ბებიას ან მის საყვარელ ძაღლს?!

8-9

◎ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი



6

სისხლიან ოპერაციებს ერთი მიზანი ჰქონდა: მოეწყოთ ისეთი ეთნიკური წმენდა, რომ ქართველებს ალარასოდეს ეფიქრათ საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე

10

## საქართველომ, შესაძლოა, რუსეთის ფედერაციასთან მიღწეული შეთანხმება გადასინჯოს



## გიორგი საქართველოა, შარვაშიძე — აფხაზეთი, მაგრამ ორივე ერთი ქვეყნის გვარ-სახელია...



11

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

# სახელმწიფო

**საქართველოს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა უმძიმესია. გადასახადების გაზრდით, ტრანსპორტზე ფასის გაორმაგებით ხალხის ყოფა კიდევ უფრო დამძიმდება! ამის მიხვედრას არც დიდი ჭკუა-გონება სჭირდება და არც – უმაღლესი ეკონომიკური განათლება...**



**◎ კანონმდებლები**

## მმართველი პარტია რესპუბლიკელებს „არასახელმწიფოებრივ პოზიციას" უწუნებს

**პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პაატა ზაქარეიშვილის საკითხი ცხარე განხილვის თემა გახდა. მოგეხსენებათ, ამას წინათ ზაქარეიშვილმა მასმედიის საშუალებით განაცხადა, რომ აფხაზეთში დაკავებული სტუდენტების უკან შინაგან საქმეთა სამინისტროს კვალი ჩანს...** შემდეგ ღია ეთერში ზაქარეიშვილმა თქვა, რომ ეს ინფორმაცია არასწორად გაშუქდა და ის არა სტუდენტებზე, არამედ გალის არჩევნებზე ლაპარაკობდა. მან, ასევე, აღნიშნა, რომ გალში მცხოვრები ქართველები საქართველოს ხელისუფლების ტერორის ქვეშ იმყოფებიან, რასაც პარლამენტში უმრავლესობის მკაცრი განცხადებები მოჰყვა. მმართველი პარტიის წევრებმა პაატა ზაქარეიშვილი, რესპუბლიკური პარტია, არასახელმწიფოებრივი მოსაზრებების გამოთქმაში დაადანაშაულეს, რესპუბლიკური პარტიის წევრები კი ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციაზე ალაპარაკდნენ. ზაქარეიშვილთან დაკავშირებით დებატების დროს საკამათო გახდა რესპუბლიკური პარტიის კონცეფცია აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ.

სხდომაზე ნოდარ გრიგალაშვილმა რესპუბლიკური პარტიის კონცეფციიდან – „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ", ამონარიდები წაიკითხა, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული აფხაზეთი, რომელიც უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში გამოდის თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელი პარტნიორის სახით. აფხაზეთი არის ფედერალური სახელმწიფოს წევრი, წევრ-სახელმწიფო და არა ნაწილი". გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ პაატა ზაქარეიშვილი არის არა რომელიმე ქვეყნის აგენტი, არამედ რესპუბლიკური პარტიის ჭეშმარიტი წევრი, რომელიც სწორედ ამ კონცეფციის ავტორია. გრიგალაშვილს გამოეხმაურნენ რესპუბლიკური პარტიის წევრები. ლევან ბერძენიშვილმა მას შეახსენა ის პერიოდი, როდესაც თავად იყო რესპუბლიკური პარტიის წევრი.

რესპუბლიკური პარტიის წევრმა დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, კონცეფცია, რომელზეც ლაპარაკია და ეხება აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსს, ახალი არ არისო. კარგა ხანია ეს დოკუმენტი მიღებულია. დავით ზურაბიშვილმა დაასახელა დავით ბაქრაძე და კოტე კუბლაშვილი, რომლებიც, მისი თქმით, ამ კონცეფციის ავტორები არიან.

„ნამდვილად არ ვიცოდი ბატონი ბაქრაძე და კუბლაშვილი თუ რესპუბლიკური პარტიის წევრები იყვნენ. ჩემთვის ეს ნამდვილად უცნაური ინფორმაციაა. დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არასწორი. იმიტომ, რომ ვიცი ამ ორი ადამიანის კონცეფცია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით", – უპასუხა ზურაბიშვილს პარლამენტის თავმჯდომარემ.

ამ განცხადებების შემდეგ, სხდომაზე გიგა ბოკერიასა და ლევან ბერძენიშვილს შორის ცხარე კამათი გაიმართა. ბოკერია დარწმუნებულია, რომ ზაქარეიშვილმა არასახელმწიფოებრივი განცხადებები გააკეთა, რასაც შემდეგ სტუდენტების მხრიდან ადეკვატური რეაქცია მოჰყვა.

ლევან ბერძენიშვილი რესპუბლიკური პარტიის ოფისში სტუდენტების შეჭრის ფაქტს პროვოკაციად აფასებს. ისინი ხელისუფლების მიერ იმართებიან, ასეთი სტუდენტები რესპუბლიკური პარტიის წევრებს აგენტებს არ უნდა ეძახდნენო. ამას დარბაზში ხმაური მოჰყვა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აცხადებდნენ, როდესაც აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გამო პოლიტიკოსი ყველაფერში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს, ეს მიუღებელი და ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული განცხადებებიაო.

დებატების დროს სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა დავით ბაქრაძე. მოგვიანებით მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი არასოდეს ყოფილა რესპუბლიკური პარტიის წევრი და, ამდენად, ვერ იქნება ვერანაირი დოკუმენტის ავტორი, რომელიც რესპუბლიკური პარტიის მიერ არის მიღებული.

**მზია გელენავა**

**◎ „მრისხანე" ქუჩები**

## ოპოზიცია პარასკევისთვის ემზადება

**საქართველოს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა უმძიმესია. გადასახადების გაზრდით, ტრანსპორტზე ფასის გაორმაგებით ხალხის ყოფა კიდევ უფრო დამძიმდება! ამის მიხვედრას არც დიდი ჭკუა-გონება სჭირდება და არც – უმაღლესი ეკონომიკური განათლება...**

საინტერესოა, რატომ ვერ ხვდებიან ამას ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ტელეეკრანებიდან „გვმოძღვრავენ", ლაპარაკობენ არარსებულ წინსვლაზე, ეკონომიკის აღმავლობაზე, ხალხის კეთილდღეობაზე... „ნუთუ ისინი იმავე ქვეყანაში არ ცხოვრობენ, სადაც ჩვენ, უბრალო ადამიანებს, გვიწევს ცხოვრება?" – აღშფოთებული იყვნენ 25 აპრილს, თავისუფლების მოედანზე გამართული აქციის მონაწილენი. ამ აქციაში მონაწილეობა მიიღეს ვეტერანთა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა მოძრაობამ „ჩვენ თვითონ", „ქართულმა დასმა", „ხალხის პარტიამ", „თანასწორობის ინსტიტუტმა" და სხვებმა.

**დავით ლილუაშვილი (არასამთავრობო ორგანიზაცია – „ჩვენი უფლებებისათვის"-ძ:** „ეს აქცია მოსამზადებელი ეტაპია პარასკევისათვის. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებმა, გადავწყვიტეთ შევხვედროდით მოსახლეობას, რათა ყველა უკლებლივ მოვიდეს პარასკევს პირველი საათისათვის დაგეგმილ აქციაზე. ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ საკუთარი უფლებები, ღირსება, სოციალური ინტერესები, წინ აღვუდგეთ ხელისუფალთა უსამართლო გადაწყვეტილებებს! ოპოზიციური ძალებისათვის მიუღებელია გაძვირებული ტარიფებისა და მოსაკრებლების დაწესება, მიუღებელია ყველა ანტისოციალური პროექტი თუ გადაწყვეტილება"...

**ჯონდი ბალათურია („ქართული დასი"-ძ:** „ხელისუფლებამ სამარცხვინო ტყუილი იკადრა – მოსახლეობას გაზის ტარიფის შემცირებას შეპირდა, მაგრამ არ შემცირა. იგივე მოხდა ე.წ. ისტორიულ საცხოვრებელ ფართზე გადასახადის დაწესებაზე: ჯერ თითქოს ამოიღეს ეს მუხლი კანონიდან, შემდეგ კი ჩუმად ისევ ჩაამატეს! გადასახადი საცხოვრებელ ფართზე დღეს უკვე დაწესებულია – ეს ნიშნავს, რომ დაიწყება თბილისის ცენტრალური უბნებიდან ხალხის გამოძევება, ან თბილისელებს – ვერელებს, მთაწმინდელებს, სოლოლაკელებს მოუწევთ გადასახადის გადახდა იმის გამო, რომ ისინი ვერელები, მთაწმინდელები, ან სოლოლაკელები არიან. ეს ხომ აბსურდია!



მიგვაჩნია, რომ პარასკევს გრანდიოზული აქცია უნდა გაიმართოს. ათასობით ადამიანი უნდა შეიკრიბოს პარასკევს, პირველ საათზე პარლამენტის წინ, რათა მოხერხდეს ამ ძალადობის, სოციალური ჩაგვრისა და უსამართლობის შეჩერება. ოპოზიციური ძალები უკვე ახერხებენ გაერთიანებას. დღეს შემოგვიერთდა დავით ზურაბიშვილი, იმედი გვაქვს, რომ ცოტა ხანში ჩვენს გვერდით დადგებიან ისინი, ვინც ჯერ კიდევ ვერ დაძლია საკუთარი, ვიწროპარტიული ინტერესები და საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი..."

აქციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ოპოზიციური ძალები და მათ მიერ შექმნილი „წინააღმდეგობის კომიტეტი" კონსულტაციებს მართავს საპარლამენტო ოპოზიციასთან და, იმედი გამოთქვეს, რომ ისინიც მალე შეუერთდებიან პარლამენტს გარეთ დარჩენილ „ძმებს".

ოპოზიცია საგანგებოდ ემზადება პარასკევის აქციისათვის და, იმედი აქვს, რომ სოციალური პრობლემებით შეღონებულ ათასობით მოქალაქეს ქუჩაში გამოიყვანს...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**◎ ინფორმაცია**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტი" და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა კოალიცია უმრავლესობის წევრ ბესო ჯუღელს ეთნიკური შუღლის გაღვივებაში ადანაშაულებს.**

„თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ, მოსაკრებლებთან დაკავშირებით, სატელევიზიო ეთერში გამოსულმა ჯუღელმა არა მარტო ქართველ ხალხს მიაყენა შეურაცხყოფა, არამედ – ეთნიკურ უმცირესობასაც. კოალიცია კი უფრო შორს მიდის

### ჯუღელი ეთნიკურ შუღლს აღვივებს

და ბესო ჯუღელის განცხადებებს ფაშისტურად, დისკრიმინაციულად, ეთნიკური შუღლის გამაღვივებლად მიიჩნევს.

პარლამენტარი ბესო ჯუღელი საუბარში ხსენებულ ბრალდებებზე პასუხის გაცემას არ აპირებს და თავს ეთნიკური შუღლის გამღვივებლად არ მიიჩნევს. თუმცა, აცხადებს, რომ შესაძლოა „მიკირტუმას" ხსენება არაკორექტულია, მაგრამ ეს უნებურად, არამიზნობრივად მოხდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის" გამგეობის წევრი ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ ბესო ჯუღელის მიერ გაკეთებული განცხადი, თითქოს „მიკირტუმას" ხსენება უნებლიედ წამოცდა, არასწორია.

– ორგზის უნებურად წამოცდენა ასე უბრალოდ არ ხდება. ბესო ჯუღელს ასეთი რამ ერთხელ ტელეიმედში „წამოცდა", მეორედ რადიო „უცნობში". ამას გაზეთი „24 საათიც" ადასტურებს. ამ განცხადებების შემდეგ რატომღაც არც ბესო ჯუღელი, არც ნაციონალური მოძრაობის რომელიმე წევრი არ გამოსულა და ჯუღელის ნათქვამი საქვეყნოდ არ უარუყვიათ, არც ბოდიში მოუხდიათ, – განაცხადა ჩხარტიშვილმა. ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი რამ ეროვნული შუღლის გაღვივებას ემსახურება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**◎ რას ფიქრობს ხალხი**

## ხელისუფლებას აქციებით ვერ შეაშინებენ

**ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, საზოგადოების დიდი ნაწილი პროტესტს გამოთქვამს. გაძვირებულ კომუნალურ გადასახადებს პროდუქტებზე ყოველდღიურად ფასების ზრდაც ემატება. ხალხს ისღა დარჩენია, ქუჩაში გამოსვლით გამოხატოს თავისი გულისწყრომა. ხელისუფლება კი ამას ირონიით უყურებს. ალბათ დაავიწყდა, რომ რამდენიმე წლის წინათ ხალხი სწორედ გაუსაძლისი ყოფის გამო დაუდგა მათ გვერდზე...**

**რა აზრისა ხართ ქვეყანაში შექმნილ სოციალურ მდგომარეობაზე და, როგორ ფიქრობთ, რა შედეგს გამოიღებს საპროტესტო აქციები? ვკითხეთ რამდენიმე მოქალაქეს.**

**ლალი მესტვირიშვილი:** „ქრისტიანეები ვართ და ღვთის სიყვარულმა უნდა დაგვაძლევინოს ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. აქციების მომხრე არ ვარ, მაგრამ ჭეშმარიტებამ უნდა იზეიმოს".

**მალხაზ მაისურაძე:** „ძალიან რთულია ასეთ მდგომარეობაში ცხოვრება. არ ვიცი, ოჯახზე როგორ გავანაწილო ძალზე მწირი ხელფასი. სტუდენტი შვილი მყავს. ყველაზემეტი მოთხოვნილება მას აქვს. არ მინდა, რამეზე გული დავწყვიტო. არადა სწავლის საფასური ძალიან მაღალია. საერთოდ საპროტესტო აქციებს არ ვეთანხმები, მაგრამ თუ რამე შედეგს გამოიღებს, მათ გვერდზე დავდგები".

**ლეილა ბედიანაშვილი:** „ასე მგონია, მთავრობა ხელოვნურად ქმნის ქვეყანაში გაუსაძლის მდგომარეობას. ფული გაუფასურებულია, პროდუქტებზე ფასები ყოველდღიურად იზრდება, იმას კი არ ფიქრობენ, რომ ხალხს ხელფასები მოუმატონ. არა მგონია, აქციებმა რამე შედეგი გამოიღოს. თუმცა, ამას კარგი მხარეც აქვს. ამ მოვლენებს საზღვარგარეთ აკვირდებიან. სააკაშვილს უნდა, ამერიკას მხოლოდ გაზრდილი გადასახადებით დაეწიოს".

**პაატა დოზორჯგინიძე:** კატასტროფული მდგომარეობაა. უმძიმეს პირობებში ვცხოვრობთ. ოღონდ აქციებით კი ხელისუფლებას ვერ შეაშინებენ"...

**მაია კილასონია,**
**მირანდა ფორჩხიძე**

# ქვეყანა

**მით უფრო ფასეულია ის, რაც ამას წინათ მოსკოვში მოხდა — „ძალა ერთობაშია!“ ამ გამოთქმის სიბრძნე გაისიგრძეგანეს იქ მცხოვრებმა ქართველებმა და, სამ ორგანიზაციაში დაქსაქსულები, რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირში გაერთიანდნენ.**

**ახლახან ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. მან თავი მოუყარა მოსკოვში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველებს — მეცნიერებს, ბიზნესმენებს, ინჟინრებს, ექიმებს, მსახიობებს...**



## ◎ ძალა ერთობაშია!

# თავსაც უკეთ მიხედავენ და სამშობლოსაც მეტად შეეწევიან

## დაფუძნდა რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირი

**ქართველები ისტორიულად ერთმანეთის ჭამამ დაგვანელა. ოდეს გავერთიანებულვართ, ერი შეუდლაბებულა, ჩვენი შიშით აძაგძაგებდა საქართველოს ჩასაყლაპად მუდამ პირდაღრენილ ათასი ჯურის მომხდვურსა და მოთარეშეს. მაშინ სულაც არ იგრძნობოდა ჩვენი სამშობლოს სიმცირე...**

მერე კი ისევ შიგან ავირეოდით, ძმა-ძმას ყისტს მოსდებდა და ვახარებდით მტერს. ალბათ, ეს ჩვენი „ისტორიული სენია“, რადგან ახლაც, თითქოსდა ერთიანი, განუყოფელი, ძლიერი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოსთვის მებრძოლ პარტიებსა თუ პოლიტიკურ მოძრაობებს ვერა და ვერ გამოუნახავთ საერთო ენა ამ, მათი მტკიცებით, საერთო მიზნის მისაღწევად.

**მით უფრო ფასეულია ის, რაც ამას წინათ მოსკოვში მოხდა — „ძალა ერთობაშია!“ ამ გამოთქმის სიბრძნე გაისიგრძეგანეს იქ მცხოვრებმა ქართველებმა და, სამ ორგანიზაციაში დაქსაქსულები, რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირში გაერთიანდნენ.**

**ახლახან ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. მან თავი მოუყარა მოსკოვში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველებს — მეცნიერებს, ბიზნესმენებს, ინჟინრებს, ექიმებს, მსახიობებს...**

ჩვენი თანამემამულენი იქ საქართველოს სიყვარულმა, ნოსტალგიამ, სამშობლოს დახმარების დიდმა სურვილმა, რუსეთში მცხოვრები ქართველობის კონსოლიდაციის აუცილებლობის შეგნებამ მიიყვანა. მათ სჯერათ, რომ თავის მცირე წვლილს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარებაშიც შეიტანენ, რადგან ერთმორწმუნე, დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ერები აუცილებლად გაუგებენ ერთმანეთს.

**ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულმა ბატონმა შალვა მეძმარიაშვილმა სწორედ ის გამოკვეთა, რაც წერილის დასაწყისში ითქვა — დაქსაქსულობა დამღუპველია. ძალა ერთობაშია. სამი ორგანიზაციის პრეზიდენტი: მე, მიხეილ ხუბუტია და კობა ქარჩავა დავსხედით, სამივე ორგანიზაციის წესდებაზე ვიმსჯელეთ და დავასკვენით, რომ მათი მიზნები და ამოცანები წყლის წვეთებივით ჰგვანან ერთმანეთს. ამიტომ ასეთ „დამოუკიდებლობას“, აბა, რა აზრი ჰქონდა და გაერთიანება გადავწყვიტეთ. ასე უფრო შედეგიანად დავიცავთ ჩვენს ინტერესებს. ვისაც ჯერ არს, დავუსაბუთებთ, რომ რუსეთში შემთხვევითი ხალხი სულაც არა ვართ და ჩვენს სამშობლოს უფრო უკეთ დავეხმარებით. ბოლოს და ბოლოს, გვექნება ჩვენი შენობა, გაზეთი, ინტერნეტ-საიტიც...**

ყრილობაზე შეკრებილი ძალზე სერიოზული ხალხი ძალზე სერიოზულად მსჯელობდა, სახელდობრ, როგორ, რით დახმარებოდნენ სამშობლოს. მწუხარებით აღნიშნეს, რომ დამოუკიდებლობის 15 წლის მანძილზე საქართველო, გაძლიერების ნაცვლად, ფაქტობრივად, დაკნინდა — ტერიტორიები დაკარგა და სოციალური ფონიც უარესდება.

**„უმთავრესში დავრწმუნდით — ერთობა გვმართებს ისეთ უმნიშვნელოვანეს, კონცეპტუალურ საკითხში, სამშობლოს მსახურება რომ ჰქვია. მას ჩვენი დახმარება სჭირდება. გადაუჭრელია ეროვნული ეკონომიკის, სამართლებრივ-დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები. ამას შორიდან გულხელდაკრეფილნი ვერ ვუმზერთ.**

**ყველამ შევიგნეთ, რომ ლიტონსიტყვაობის, დემაგოგიის უფლება არა გვაქვს. კონკრეტული საქმეებით უნდა დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაში, ყველანაირად შევუწყოთ ხელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებას. განა დასაშვებია, რომ მავანი პოლიტიკანების, გეოპოლიტიკური კონიუნქტურებისა და გლობალიზაციის უარყოფითი ტენდენციების გამო, ორ მოძმე ერს შორის ურთიერთობების ხიდი სამუდამოდ ჩატყდეს?! მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა ყველაზე უკეთ ვუწყით, რომ რუსები ჩვენი მტრები არ არიან. ისინიც ძალზე განიცდიან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის, კულტურული, საზოგადოებრივი და სამეცნიერო ურთიერთობების მოშლას“ —** თქვა „ამომრჩეველთა კავშირი — საქართველოს ერთიანობისთვის“ ლიდერმა ბატონმა იოსებ უგრელიძემ.

სხვა გამომსვლელთა სულისკვეთებაც, ძირითადად, ასეთი იყო.

**ყრილობამ კავშირის საბჭო აირჩია. მასში შევიდნენ: ნოდარ არობელიშვილი, ზურაბ წერეთელი, თამარ გვერდწითელი, ლეო ბოკერია და მოსკოვში მოღვაწე სხვა ცნობილი ქართველები.**

**რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს მოსკოვის მთავრობის წევრი, ცნობილი მეწარმე ბატონი მიხეილ ხუბუტია.**

მან განაცხადა, დარწმუნებული ვარ, კავშირი რომ სექტემბრის ავადსახსენებელ მოვლენებამდე დაფუძნებულიყო, ამას არ დავუშვებდითო. ბატონ მიხეილს სჯერა, რომ მომდევნო ყრილობამდე ძალზე ბევრი რამის გაკეთებას შეძლებენ. აღნიშნა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ მოიწონა კავშირის შექმნის იდეა.

**„მას წინათ მიხეილ სააკაშვილმა მიმიღო. ძალზე მოეწონა ჩვენი წამოწყება. დაფინანსებასაც კი შემპირდა ჩვენი კულტურის გასავითარებლად, ქართული სკოლებისა და ბაგა-ბაღების გასახსნელად. მცოდნე, გამოცდილი იურისტები, კარგი გუნდი გვყავს, რათა რუსეთთან ურთიერთობა მოვაწესრიგოთ მოსკოვის მერის — იური ლუჟკოვისა და თვით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დონეზეც. მჯერა, რომ ყველა პრობლემას მოვაგვარებთ“,** — აღნიშნა დასასრულ ხუბუტიამ.

ყრილობას ესწრებოდა და კავშირის **საპატიო წევრად ერთხმად აირჩიეს რუსეთის სახალხო არტისტი, რუსეთის სახელმწიფოს დეპუტატი იოსებ კობზონი.**

„მეამაყება, რომ მრავალი ქართველი მეგობარი მყავს, ბედნიერი ვარ, რომ ქართველი ხალხის სიყვარული დავიმსახურე. 1956 წლის თბილისის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების დროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში ვმსახურობდი და, თუმცა ჯარისკაცის ფარაჯა მეცვა, უბრალო ხალხი გულკეთილად მეპყრობოდა. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ საქართველო ახლაც ჩემი უსაყვარლესი ქვეყანაა.

როცა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში წყალი აიმღვრა, ეს პირად წყენადაც მივიღე. როგორ შეიძლებოდა საზღვრების დაკეტვა და მეგობრებთან ურთიერთობისთვის რაღაც ვიზების შემოღება? მაგრამ, მჯერა, რომ მალე ყველაფერი გამოსწორდება. ძალზე დროულია ქართველთა კავშირის შექმნა. ამით საჯაროდ განაცხადეთ, რომ ამიერიდან ქართველებს ქედმაღლურად ვერავინ გადმოხედავს, შემთხვევით ჩამოსულხართ და შემთხვევით დარჩით რუსეთშიო. თქვენ ყველა კონსტიტუციური და, უბრალოდ, ადამიანური უფლება გაქვთ!“ — დაასკვნა კობზონმა.

**რუსეთში ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს. ეს დიდი ძალაა. ოღონდ, მხოლოდ მაშინ, თუ გაერთიანდებიან.**

**ყრილობაზე არ დაუკონკრეტებიათ, როგორ დაამყარებს რუსეთის ქალაქებში გაბნეულ თვისტომებთან ურთიერთობას კავშირი, როგორ გაუწევს მათ ხელმძღვანელობას საერთო მიზნების მისაღწევად. შეიქმნება თუ არა საამისოდ კავშირის ფილიალები იქ, სადაც ქართული დიასპორა კომპაქტურია? ეს აუცილებლად გადასაწყვეტია. მით უფრო, რომ** დასახელება — რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირი სწორედ ამას გულისხმობს. **მაგრამ ამ და სხვა საკვანძო კონკრეტულ საკითხებზე კავშირის უფლებამოსილი წევრები მუშა შეხვედრებზე იმსჯელებენ.**

**მთავარი კი მოხდა — მოსკოვიდან დაიწყო და, იმედია, თანდათან მთელი რუსეთის ქართველობა გაერთიანდება. თავსაც უკეთ მიხედავენ და სამშობლოსაც მეტად შეეწევიან.**

**ეგებ, მათი წყალი ჩვენც გადმოგვესხას?!**

**კონსტანტინე გურგენიძე**

## ◎ „რიტორიკული“ კითხვები

# 9. „უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო დუმილი მიჭირს“...

## მოლაყბე თუმც ყრუმ დალალა, იქნებ ველირსოთ პასუხს?

*თუ გიჭირს, ვინ გაძალებს მერე, გაჩერდი, ენა და კალამიც დაასვენე, შენც მოისვენე და ჩვენც დაგვასვენე, — მეც და ზოგადად ჟურნალისტებსაც გულმოწყალედ გვეუბნება თითქოს „ყრუ“, იგივე ხელისუფლება.*

*უფრო სწორად, არაფერსაც არ გვეუბნება. უბრალოდ, თავისი „სიყრუით“ გვაგრძნობინებს.*

*ორ კურდღელს იჭერს თითქოს ამით ერთბაშად: თან დემოკრატობანას თამაშობს — ხომ ხედავთ, როგორ მაკრიტიკებენ, მე კი ხმას არ ვიღებო, თანაც ცდილობს, ურეაქციობით დაღლილთ, ყველაფერზე, მით უფრო კრიტიკულ განწყობაზე, ხელი აგვაღებინოს ან, საერთოდ, ჩაგვაქნევინოს.*



### „ის“ გამხმარი სჯობს თუ „დამბალი?“

**თუმცა არც მთლად ისეა საქმე, „ყრუს“ რომ უნდა. უფრო სწორად, დიდხანს არ გაგრძელდება ასე: თვით ყველაზე პატარა ნაკადულიც კი ისე უჩუმრად და ვიწრო ზოლად მოწანწკარებს სათავიდან, თუ გულდასმით არ დააკვირდი, იქნებ თავდაპირველად ვერც შეამჩნიო ქვებსა და ბალახებში მომდინარე, მაგრამ მერე, მოძლიერების კვალობაზე, თუ კალაპოტი არ გაუწმინდე და არ გაუფართოვე, ადიდებულ-აბობოქრებულ მდინარედ ქცეული რასაც შვრება, ყველამ კარგად ვიცით.**

ხალხის უკმაყოფილების ამჟამინდელ ნაკადს კი უკვე რუ თუ ნაკადული, მერწმუნეთ, სულაც არ ეთქმის!

ახლა ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული: ჯეროვნად აღიქვამს მას და საკუთარი ყურადღებიანობითა თუ სათანადო გადაწყვეტილებებით სწორ კალაპოტში მოაქცევს? — ეს ენერგია ქვეყნის აღმშენებლობითი ხასიათისა იქნება, არადა...

სამწუხაროდ, ხელისუფლებას ვერ ვამჩნევ ამის სურვილს. პირიქით, იგი ამჯობინებს ისეთი პოზა მიიღოს, თითქოს არაფერი ხდებოდეს, მისთვის არასასურველი ხალხის მოთხოვნები თუ მასმედიის სიგნალები კი, რომ იტყვიან, ერთ ყურში შეუშვას და მეორედან გამოუშვას.

**„უსიამოვნო ინფორმაცია და ჭორი, ასე ვთქვათ, ნეხვია — გაქექავ და, ცუდი სუნი აქვს. თუ დაანებებ თავს, გახმება და დამთავრდება“.**

ამ გენიალური მიგნების ავტორი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილია.

აი, ასე, მოკლედ, და კონკრეტულად! მორჩა და გათავდა!!

მაგრამ ეს მაინც ერთგვარი პლაგიატორობაა, „ფრთიანი“ ფრაზის გადამღერებული ვარიანტია.

**თავზარდამცემად და შოკის მომგვრელად ორიგინალური კი, თუ გინდათ, ის იყო, ჩვენმა პრეზიდენტმა ახლახან მოზარდებთან შეხვედრისას ტელევიზიით რომ თქვა!**

**ასეთი რამ თავის დროზე ინტელიგენციასთან სკანდალური შეხვედრისას, თვით, ღორებთან ბოდიში, მაგრამ მათ მსგავს ხრუშჩოვსაც არ უთქვამს!**

**არც საკუთარი თავისთვის უკადრებია ეს უსაზღვრო ხელისუფლებით გათავხედებულ იმ ხეპრე და ყეყეჩ ხელისუფალს და, მით უფრო, არც იქ შეკრებილი ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის!!**

ახლა კი, ჩვენთან კი...

ეტყობა, იმ დღეს, როდესაც პრეზიდენტმა მისთვის არასასურველი პოზიციის მქონე და აზრის გამომთქმელი, მაგრამ საზოგადოებისთვის პატივსაცემი და საყვარელი ხალხი უნიტაზის ბერკეტზე ხელის ერთი დაჭერით სულ ერთიანად „ჩარეცხა“, ჩვენ ყველანი ჯერ არარსებულ დროის მანქანაში ვისხედით, მინიმუმ 50 წლით უკან, ხრუშჩოვის ეპოქაში „გადავფრინდით“ და სულ ერთიანად, დიდიან-პატარიანად, „გავრუსდით“!

სხვაგვარი ახსნა ამ ფაქტს ვერ მოვუძებნე პრეზიდენტის ასეთი შეფასებით გაოგნებულმა.

იხ. 4 გვ.

# საზოგადოება

● რატომ უნდა უვლიდეს დღევანდელ „აყვავებულ“ საქართველოში „რატომღაც“ უსახსროდ დარჩენილი და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთს გადახვეწილი ქალბატონი ხათუნა იოსელიანის დონის ხელოვანი ვიღაც გაბღენძილი ამერიკელის დავრდომილ დედას თუ ბებიას ან მათ საყვარელ ძაღლს?!



◎ „რიტორიკული“ კითხვები

# 9. „უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო დუმილი მიჭირს“...

## მოლაყბე თუმც ყრუმ დაღალა, იქნებ ვეღირსოთ პასუხს?

(მესამე გვერდიდან)

**არ მინდა დავიჯერო, რომ ჩემს ხალხს ასე აფასებს და ესაუბრება... უცხოეთში განათლებამიღებული ჩემი პრეზიდენტი.**

თუ დაჯერება არ გსურს, ვისაც გვჯერა, ისინი გაგვატარე, შენ კი, თუ გინდა, „რიტორიკული“ კითხვა დასვი და საკუთარ გზას ეწიეო, – თითქოს მესმის მავანთა შეძახილი.

სხვა რა ჩარაა, როდესაც შოკიდან გამოვალ, ამაზე მერე ვისაუბროთ, ახლა კი დავმორჩილდები შეძახილს და, რაკი პრეზიდენტი, მისივე თქმით, გაზეთებს არ კითხულობს, „რიტორიკული“ კითხვით ბატონ კოტე გაბაშვილს მივმართავ:

**როგორ ფიქრობთ, ბატონო კოტე, თქვენეული შეფასება სჯობს თუ პრეზიდენტისეული?**

**ან, უფრო დაზუსტებით: „ის“, რასაც ნებისმიერი კულტურული ადამიანი საზოგადოებაში უზოდიშოდ არც მოიხსენიებს და, მით უფრო, ასეთად არ „მონათლავს“ ინტელიგენციის ერთ გამორჩეულ ნაწილს, თქვენეული შეფასებით, გამხმარი სჯობს თუ „ჩარეცხილ“-წყალწაღებული** (მე კი, ჩამორჩენილსა და უბირს – „უვარგისი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ახლა-ღა რომ შეაყენეს ჩვენმა რეფორმატორებმა ჭეშმარიტების გზაზე) „წითელი პროფესორების“ მიერ „წითელი“ დიპლომით დაჯილდოებულს, აქამდე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ყველაზე დიდი შეურაცხყოფა, მაგალითად, ადამიანისთვის სახალხოდ „სინდისგარეცხილის“ დაძახება იყო! თურმე სადა ხარ, შე ჩასარეცხად გაწირულო ამებავ!)?



**ვუთხარი, თორემ შენ რა გასაზრდელი იყავიო!**

**მართლაც მშობელ ხალხზე მშობელივით მზრუნავი ჩვენი ხელისუფლების ჩვილ და მოსიყვარულე გულს რა ვუთხარი, თორემ იგი, ჩვენი უგვანო საქციელით თავგაბეზრებული, აქამდე ხელს აიღებდა ყველაფერზე და უპატრონოდაც დაგვყრიდა!**

ვნახავდით მერე, რაც დაგვემართებოდა!

აი, რაც დაგვემართებოდა ის რომ იცის, ამიტომაც ვეცოდებით და არ გვანებებს თავს ეს ხელისუფლება, თორემ...

**ჰოდა, წამოსცდება ერთხელაც ამდენი უმადურობით გამწარებულ ხელისუფლების ერთ-ერთ „სახეს“ – ბატონ ბესო ჯუღელს მწარე სიმართლე და...**

დაიწყებენ მერე რაღაცეების ჩიჩქნას და ჩხრეკას მის გამონათქვამებში ეს ინტრიგანი ჟურნალისტებიც!

**არადა, მართლაც რა უნდა ელაპარაკოს ბატონი ბესო იმ ხალხს, ვისაც ვერაფრით შეაგნებინებს თუნდაც იმ აქსიომურ ჭეშმარიტებას, რომ ათ წელზე უხნესი მანქანები ქუჩაში არ უნდა დადიოდეს და დანჯღრეულ ავტოებს ახალი, „თაზა“ ჯიპები სჯობს?!**

ახლა კი მორიგი „რიტორიკული“ კითხვა, ბატონო კოტე.

ოღონდ ამჯერად „ალავერდს“ თქვენს კოლეგასთან, ბატონ ბესო ჯუღელთან გადავდივარ.

> **უაზრო ხმაური არ მსურს,**
> **უაზრო დუმილი მიჭირს,**
> **უკეთუ არ გამცემ პასუხს –**
> **შეკითხვის წამართვი ნიჭი.**
>
> **მუხრან მაჭავარიანი**

### ქალბატონი ელენეც მიკირტუმაა ან მიკირტუმოვნა?

**რბილად რომ ვთქვათ, ძნელია თანამედროვედ განათლებული, მოაზროვნე და მომუშავე ხელისუფლებისთვის ჩამორჩენილი ადამიანებით დასახლებული ქვეყნის მართვა. რაც არ უნდა ელაპარაკო ასეთ ხალხს, რაც არ უნდა უჩიჩინო და უმტკიცო, შენთვისვე ასე სჯობსო, ვერაფერს შეასმენ.**

მოკლედ, ჩვენ, მთელი ხალხი (ცხადია, ხელისუფლების გამოკლებით), იმ ბავშვს ვგავართ, მავანს რომ ათქმევინა, – **მშობლის გულს რა**

მე რომ მის ადგილზე ვიყო, ასეთი ხალხის აღზრდა-დამოძღვრას კი არ განვაგრძობდი, ან თუნდაც მდიდრების, წელიწადში 20 ათას ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ხალხის ხარჯზე დაბალშემოსავლიანთათვის საგადასახადო ტვირთის შემცირებისთვის კი არ ვიზრუნებდი, არამედ **დავჯდებოდი ჩემთვის, ვთქვათ, მოვარაყებულ ბუხართან და თუნდაც იმ ასდოლარიანებს გადავაწყობდი ცალკე, შვილიშვილისთვის თითო კონაში რომ უნდა მიმეცა.**

**მაგრამ ამიტომაც, სწორედ ასეთი უპასუხისმგებლო აზროვნებისთვისაც, ვარ მე, უბირი ჟურნალისტი მე, ხოლო ამგვარი უმადურობის მიუხედავად დღენიადაგ მშობელ ხალხზე მშობლიური ზრუნვისათვისაც, არის ის, ბატონი ბესო ჯუღელი (ზოგადად – ხელისუფლებაძ ის!**

გამოხტება, ვთქვათ, ბატონი ბესოს მოსწრებული და პირდაპირ ათიანში მომრტყმელი გამოთქმით თუ ვიტყვით, ვიღაც **მიკირტუმა** – თბილისის რომელიმე ისტორიული უბნის ერთ-ერთ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად შეფასებულ სახლში განცხრომით მცხოვრები – და, **საკუთარი სურვილით თუ „მოყიყინე“ ან „გამჩმახებელი“ ოპოზიციის წაქეზებით, დაიწყებს წუწუნს – რა ამბავია ამხელა სოლიდარული გადასახადი, ყოველ კვადრატულ მეტრში სამი ლარი როგორ გადავიხადო, ამის თავი სად მაქვსო!**

ვეჟო, გადამრევს ეს ხალხი!

ასეთი პოზიციის აბსურდულობას მე ვხვდები და თქვენ ვერ უნდა მიხვდეთ?

**თუ ვერ იხდი ასი კვადრატული მეტრის გადასახადს, გაყიდე ნახევარი და გადაიხადეო,** – ეს ელემენტარული გამოსავალიც ბატონმა ბესომ უნდა გიკარნახოთ, **მიკირტუმ გასპარიჩებო თუ მის მეზობლად მცხოვრებო „გიჟვრაცუებო?!“**

ოჰ, როგორ მეცოდება ბატონი ბესო!

მით უფრო, რომ ციხე ხშირად შიგნიდან უტყდება!!

**„მე ძველ თბილისში, სოლოლაკში ვცხოვრობ. 90 კვადრატული მეტრი ფართი მაქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, ლარის გადახდაც ძალზე გამიჭირდება. ორ წელიწადში დეპუტატი აღარ ვიქნები და ჩემი მცირე შემოსავლისთვის ეს ძალზე დიდი გადასახადი იქნება“.**

**ამას ბატონი ბესო ჯუღელის კოლეგა ქალბატონი ელენე თევდორაძე ბრძანებს „კვირის პალიტრისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

ვაი შენს რუსლანს! ახლა რა ვქნათ, ბატონო ბესო?

**უნდა მომაძებნინოთ როგორმე ამ ჩახლართული სიტუაციიდან გამოსავალი, რომელშიც მე, თქვენი დაცვის მოსურნე, თქვენივე კოლეგის გამოისობით აღმოვჩნდი!**

**თუმცა ქალბატონმა ელენემაც რა ქნას? თუ ახლაც, როდესაც 2000 თუ 2500 ლარს იღებს ხელფასად, როგორც თავად ამბობს, მცირე შემოსავალი აქვს, ორი წლის მერე, როდესაც დეპუტატობის ვადა გაუვა და სულ რაღაც 500-600 ლარი ექნება პენსია, რა ქნას, მითხარით!**

**ჩვენი ამჟამინდელი პენსიონერებივით გალაღებული კი არ არის და იქნება, რომლებსაც ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, როგორც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები სავსებით სამართლიანად ამაყობენ, პენსია გაუსამმაგდათ!**

რა ქნას, ბატონო ბესო?

**თუ ამაზე პასუხი ჯერ არ გაქვთ, მაშინ იქნებ ის მაინც მითხრათ, თქვენი ათიანის ათიანში მორტყმული გამონათქვამი ქალბატონ ელენეზეც ვრცელდება?**

**ან იგი, ქალბატონი ელენე, ითვლება თუ არა მიკირტუმად ან, თუნდაც, მიკირტუმოვნად და გაყიდოს თუ არა საკუთარი ბინის ნახევარი?**

სანამ პასუხს გამცემდეთ, სხვასთან გადავალ „ალავერდს“.

### მიაღწიეთ საწადელს, ბატონო ირაკლი?

**ოქრუაშვილს ვეკითხები, თავდაცვის ყოფილ მინისტრს და ორიოდე დღით ეკონომიკური განვითარების მინისტრადაც ნამუშევარს.**



ნუ ჩქაროზთ, ძვირფასო მკითხველო, არ ვაპირებ იმის კითხვას, თქვენ რომ გგონიათ. ან კი რა საჭიროა ამის კითხვა, როდესაც ისედაც კარგად ვიცი, რომ ახალი წელი ცხინვალიდან მომილოცა კი არა, წლეულს თვალითაც არ მინახავს.

სულ სხვა რამ მაინტერესებს.

ალბათ, გეხსომებათ, როდესაც გენერალურ პროკურორად დანიშნეს, ამბობდა: **ჩემი მიზანია, პროკურატურა ისეთი გავხადო, როგორიც ვახტანგ რაზმაძის პროკურორობის დროს იყო – ძლიერი და ავტორიტეტიანიო.**

**შეძელით ამის გაკეთება, ბატონო ირაკლი? ან, თუ სრულად ვერ მოახერხეთ ჩანაფიქრის ხორცშესხმა, ისეთი საძირკვლის ჩაყრა მაინც თუ მოასწარით, რომელზეც სწორედ ამგვარი პროკურატურა უნდა აშენებულიყო?**

პასუხის გაცემას ახლავე ნუ მოიწადინებთ, ჯერ ერთი ციტატა უნდა გაგაცნოთ.

**„საპროცესო შეთანხმება რაღაც საშინელებაა. საიდან მოიტანეს ეს კანონი, არ ვიცი. ეს არის კორუფციის პირველი წყარო, რადგან არავინ იცის, შეთანხმების შედეგად გადახდილი ფული სად მიდის“.**

**ამ სიტყვების ავტორი ვახტანგ რაზმაძეა, სწორედ ის კაცი, ერთ დროს რომლის ხელმძღვანელობითაც მომუშავე პროკურატურა იყო თქვენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სწორების“ ორიენტირი, ბატონო ირაკლი!**

**აი, ახლა კი მიპასუხეთ, მიაღწიეთ საწადელს?**

თუ სწორედ ისე გამოგივიდათ, თქვენი საყვარელი რუსები რომ იტყვიან ხოლმე, **„ხოტელოს კაკ ლუჩშე, ა პოლუჩილოს კაკ ვსეგდა“?**

თუმცა არ ყოფილა **„ვსეგდა“** ასე!

**ადრე, კომუნისტების დროს, ხომ არ ყოფილა და არ ყოფილა და, არც მერე, თქვენთვის მისაბაძი, ვახტანგ რაზმაძისეული პროკურატურის დროს ყოფილა ასე!**

**თუ უბრალოდ, „ხოტელოს კაკ ლუჩშე“, სინამდვილეში კი, ეშმაკმა უწყის, რა მუტანტიც გამოგივიდათ?**

რაო? ეს თვითონაც გიკვირთ?

აი, ზურა ხაჩიძეს კი, მომღერალს, თურმე უკვე არაფერი უკვირს.

სწორედ მას მინდა დავუსვა ფაქტობრივად უკომენტარო „რიტორიკული“ კითხვა:

### მართლა არაფერი გიკვირთ, ბატონო ზურა?

**აი, ის ციტატა, რომლის გამოც გამიჩნდა მომღერლისთვის ამ კითხვის დასმის სურვილი:**

**„მას შემდეგ არაფერი მიკვირს, რაც გავიგე, რომ მსახიობი ხათუნა იოსელიანი ამერიკაში წასულა ვიღაცის მოსავლელად“.**

მომღერლის ეს სიტყვები ჟურნალ „სარკეში“ წავიკითხე.

გაკვირვების უნარი დავკარგე-მეთქი, ვერ ვიტყვი.

უბრალოდ გავვოგნდი!

აკი ქართველები ჩვენგან მიდიან კი არა, პირიქით, უცხოეთიდან შინ ბრუნდებიანო?!

**ვის ვენდოთ და დავუჯეროთ ამის მერე, ვის?!**



**რატომ უნდა უვლიდეს დღევანდელ „აყვავებულ“ საქართველოში „რატომღაც“ უსახსროდ დარჩენილი და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთს გადახვეწილი ქალბატონი ხათუნა იოსელიანის დონის ხელოვანი ვიღაც გაბღენძილი ამერიკელის დავრდომილ დედას თუ ბებიას ან მათ საყვარელ ძაღლს?!**

თუმცა ეს მართლაც რიტორიკაა, მე კი მხოლოდ „რიტორიკული“ კითხვა მაწუხებს:

**მართლა არაფერი გიკვირთ, ბატონო ზურა?**

**აი, თუნდაც ის, ცოცხლები რომ ვართ და ცხვირტუჩზე ჰაერის მრიცხველი არ გვიყენია?**

აბა, კარგად დაფიქრდით და ნახავთ, რომ მართლაც ბევრი რამ ხდება ჩვენთან გასაკვირი, „ჰორაციო!“

**რუსლან რუსია**

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

**ჩვენ**

**● საგარეო პოლიტიკით გართული და თავბრუდახვეული ხელისუფლება ნატოში შესვლაზე ოცნებაში ათენ-ალამებს, უმუშევრად დარჩენილი ხალხი კი ლოგე-ყორეს აწყდება, საარსებო წყაროს ეძებს ოჯახის დასაპურებლად. „უფსკრული ხალხსა და ხელისუფლებას შორის იზრდება“, — ამბობს ბატონი შოთა ნადირაშვილი**



◎ განსჯა

# დედებო, შვილები მაგრად ჩაიკარით მკერდში!

### უფსკრული იზრდება

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა ფონმა ერთ-ერთი გულმხურვალე ნაცმოძრაოზელი დეპუტატის სიტყვები გამახსენა — მოითმინეთ, ხალხო, ეს გაჭირვება აიტანეთ, გაუძელით, დედებმა შვილები მკერდში ჩაიხუტონ და გაათბონო! — დაახლოებით ასე ანუგეშებდა ხალხს.

ნაცმოძრაოზელი პარლამენტარებისგან მსგავსი „ნუგეშის“ გადმოფრქვევა არ ახალია, ძველია: ან მართლა სჯერათ, რასაც ამბობენ, ანდა, საკუთარი სავარძლის შესანარჩუნებლად, სიმართლე რომ არ თქვან, ენას კბილს აჭერენ და ხალხს ცრუ იმედებით კვებავენ.

ისინი ისე დაშორდნენ რეალობას, როგორც ცა და დედამიწაა დაშორებული, ურყევად სჯერათ პრეზიდენტის სიტყვებისა, ჩვენი თავი ტალახიდან საკუთარი ხელებით ამოვათრიეთ და წინ მივაბიჯებთ ახალ-ახალი წარმატებებისკენო.

საგარეო პოლიტიკით გართული და თავბრუდახვეული ხელისუფლება ნატოში შესვლაზე ოცნებაში ათენ-ალამებს, უმუშევრად დარჩენილი ხალხი კი ლოგე-ყორეს აწყდება, საარსებო წყაროს ეძებს ოჯახის დასაპურებლად. „უფსკრული ხალხსა და ხელისუფლებას შორის იზრდება“, — ამბობს ბატონი შოთა ნადირაშვილი.

ხელისუფლება ყურსაც არ იბერტყავს ამ უფსკრულის შესამცირებლად, პირიქით, ცეცხლზე ნავთსასხამს და, ზოგიერთი პოლიტიკოსის თქმისა არ იყოს, ხალხის დამონებას განაგრძობს: გადასახადების მომატებითა თუ ინტელიგენციაზე შეტევით.

### „ვილაცას აწაპნე, ვილაცას აჰკიდე...“

ე. წ. „ისტორიულ საცხოვრებელ ფართზე“ მოსაკრებლების დაწესებამ, ბუნებრივი გაზის გაძვირებამ, ტრანსპორტის ღირებულების გაორმაგებამ, წყლის საერთო მრიცხველების დამონტაჟებამ ხალხს მოთმინების ფიალა აუვსო. ამას დაერთო შეტევა ბიზნესზე და მესაკუთრეთა ფენის გაღიზიანება — რიყეზე რესტორნების დემონტაჟი, შეტევა საშუალო ფენაზე. თურმე, ქონება მათი არ ყოფილა და ქართული ეკონომიკის „მამის“, არველაძის თქმით, მისი „შეტყაპუნება“ უნდათ... და თურმე, თბილისი ისე უნდა განვითარდეს, როგორც ეს XXI საუკუნეს ეკადრება!

ადამიანის ბედზე თუ დაფიქრებულა ბატონი არველაძე? როგორ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი XXI საუკუნეში? შიმშილით სიკვდილს ელოდოს ყველაზე უმთავრესის–სიცოცხლის უფლებაწართმეულმა? რა უფრო არსებითია — ფასადების შეღებვა, შადრევნების ადგაფუნება თუ ადამიანი და მისი ჯანმრთელობა?

ამ ახალ, ე.წ. ვარდების დროებაში ერთი რამ უცხადესია — ის, ვინც სულიერებას ემსახურება, აღარავის სჭირდება. პედაგოგებმა სოციალურად დაუცველი საზოგადოების სეგმენტში გადაინაცვლეს და დღეს ულატაკესნი არიან. სამაგიეროდ, თავდაცვის სისტემაში, ფინანსურ პოლიციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მოკალათებულმა ჩინოვნიკებმა ძალიან ბევრს მიაღწიეს, ამბობენ, რომ ქონების გადანაწილება სწორედ მათ ინტერესებთ და ჩქარობენ, რაც შეიძლება დროზე ჩაიგდონ ყველაფერი ხელში.

ამიტომ ჭიანურდება კერძო საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის მიღებაც, რათა რიყეზე და სხვა პრესტიჟულ უბნებში ძალადობრივი გადანაწილების პროცესები დასრულდეს, გასაყიდი და ჩამოსართმევიც აღარაფერი დარჩეს. ეს ვითარება პოეტმა ალექსანდრე ღიღებაშვილმა მშვენივრად დაახასიათა: „იყიდე, გაყიდე, იყიდე, გაყიდე... ვილაცას აწაპნე, ვილაცას აჰკიდე“... არც ოდენ ხვნა-თესვა და ცელის ალესვა... ასეთია პოეტის თვალით დანახული „გამარტივებული სინამდვილე“... და ასეთ დროებაში ლანძღავენ აკადემიკოსებს, პროფესორებს, მწერლებს, მსახიობებს... მათ ნაწილს სამარცხვინო უწოდეს და „ჩასარეცხთა“ კატეგორიაშიც კი განამწესეს.

### ოპოზიციური პარტიები თავისი სამრეკლოდან რეკავენ

ქვეყანაში ცხოვრება ძნელდება და ძვირდება. პოლიტოლოგები ფიქრობენ, რომ ადამიანს ორი გზა რჩება: ემიგრაცია და საპროტესტო აქციებში ჩართვა. თუმცა, საზოგადოებაში ნიჰილიზმი მძლავრობს. 90-იანი წლებისგან განსხვავებით, დღეს პოლიტიკური მოთხოვნა დაიკარგა. უმთავრესი სოციალური თემატიკაა. სოციალური მოთხოვნით კი ძნელია საპროტესტო მუხტის ხანგრძლივად შენარჩუნება. უდავოდ ვეთანხმები პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს, რომ ხელისუფლება კარგად გრძნობს, თუ რა ეშლება მოსახლეობას და მშვენივრად იყენებს მის პოლიტიკურ ახლომხედველობას.

გირგვლიანის მკვლელობამ ალაშფოთა საზოგადოება. და ამ საშინელი უსამართლობის გამო, ხალხი ფეხზე დადგა. ეს არ იყო სოციალური პროტესტი, ანუ ხელისუფლების დიდ უსამართლობას აუცილებლად მოჰყვება საპროტესტო ტალღა, მაგრამ როცა რიყეზედაზარალებულთაგან თითოოროლა მეპატრონე აცხადებს პროტესტს და გადასახადებსაც მხოლოდ რამდენიმე ისტორიულ უბანს უწესებენ, სოციალური რესურსები საკმარისი არ იქნება, მასშტაბური აქციები გამორიცხულია.

ამავე დროს, საეჭვოა, დაქსაქსულმა ოპოზიციამ ხალხი გააერთიანოს: ერთი ძალა კანცელარიისკენ ექაჩება მოსახლეობას, მეორე — მერიისკენ, მესამე — გაფიცვისკენ... რაც სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. ყველა ოპოზიციური პარტია თავისი სამრეკლოდან რეკავს, მათ შორის პოლიტიკური კონკურენციაა, ხოლო დარაზმვისა და კოორდინაციის გარეშე მიზანი ვერ მიიღწევა.

### ოპოზიციასთან გაიგივებული ხალხი

არჩევნებამდე წელიწადნახევარი დარჩა. რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ მრავალი თვალსაზრისით ვერ გაამართლა. უპირველესად, სამართლიანობა და კანონიერება ვერ დაამკვიდრა. „ეს პროცესი გაგრძელდება. მართებული არ იქნება დასკვნების გამოტანა აქციაში მონაწილეთა მიხედვით, ანდა იმით, თუ რომელი პარტია რა საკითხს წამოწევს წინ. საბოლოოდ, 2008 წლის არჩევნებისთვის ეს ყველაფერი მძლავრად მოიყრის თავს საპროტესტო ოპოზიციურ ელექტორატში“, — ამბობს იგი.

დავით უსუფაშვილი არ ფიქრობს, რომ ამ დღეებში, ამ წუთებში, პოლიტიკური თვალსაზრისით, რაიმე განსაკუთრებული ხდება, არამედ, აქციები ჩვეულებრივი პროცესია, რასაც ზრდის დინამიკა აქვს — ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანთა რაოდენობა მატულობს, შესაბამისად, საპროტესტოდ განწყობილ მოქალაქეთა რაოდენობაც იზრდება, მაგრამ საეჭვოა, ოპოზიციამ შეძლოს გაერთიანება და ხალხის დარაზმვა. საპროტესტო ტალღა ხალხისგან უნდა წამოვიდეს და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის დაკვეთით აგორდეს. მხოლოდ მაშინ ექნება მას ეფექტი. თავად ხელისუფლებაც შეცდომას შეცდომაზე უშვებს — მან ხალხი ოპოზიციასთან გააიგივა და მის მოთხოვნებს უგულებელყოფს.

ცივილიზებულ ქვეყნებს გაძვირებული ცხოვრებით კი არ უნდა ვბაძავდეთ, არამედ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებით, ხალხის დასაქმებით, მაღალი ხელფასებით... ნამდვილი დემოკრატია და პოლიტიკური კულტურა სწორედ მათგან უნდა ვისწავლოთ, და ერთხელ და სამუდამოდ შევეშვათ პროვინციულ აზროვნებასა და ურთიერთობებს პოლიტიკაში.

ხელისუფლებამ ცხოვრება და ხალხის ბედი შოუს დაუქვემდებარა, შოუდ აქცია, ეს მწარე რეალობაა. პოლიტიკური პარტიებიც ამ შოუში არიან ჩართული. ამ შოუს ნაწილი ვართ თითოეული ჩვენგანი, ვინც მშვენივრად ხედავს, თვალსა და ხელს შუა როგორ მდიდრდებიან ერთნი და ღატაკდებიან მეორენი; როგორ ხნავს ძალა აღმართს... ხალხი კი ჰაერშია გამოკიდებული. გეკითხებით თქვენ — ქვეყნის მაღალჩინოსნებს, განა, ასეთი ყოფა ეკადრება XXI საუკუნის საქართველოს და მის ხალხს, რომელმაც მრავალ განსაცდელსა და ძნელბედობას გაუძლო, დამოუკიდებელ, საამაყო საქართველოზე ოცნებობდა და იბრძოდა ამისთვის და რომელიც ყოველგვარ სიკეთეს იმსახურებს?!

**თამარ შაიშმელაშვილი**

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

◎ კანონი და ჩვენ

# საკუთრების ხელყოფა უმძიმესი დანაშაულია

***საქართველოში საკუთრების ხელყოფის გახშირებულმა ფაქტებმა საზოგადოებრიობის მწვავე რეაქცია გამოიწვია. ბევრი პოლიტიკოსი და იურისტი იმას, რაც ქვეყანაში უკვე მოხდა და კვლავაც გრძელდება, უმძიმეს დანაშაულად აფასებს. მათი აზრით, კერძო მესაკუთრეთა ქონების დარბევა-განადგურებით უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელზეც, ევროპის ბევრ სახელმწიფოსთან ერთად, ხელი აქვს მოწერილი საქართველოსაც. როგორია ამ კონვენციის მოთხოვნები და ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტიები, ამის თაობაზე ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა პროფესიონალ იურისტს, ბატონ გიორგი გულედანს, რომელიც დედაქალაქის პროკურატურაში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილებას, შემდეგ კი მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ.***

**— ბატონო გიორგი, ბევრს აინტერესებს, როდის მიიღეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და რომელ წელს შეუერთდა მას საქართველო?**




— თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა, რომლის გარანტიასაც ევროპული კონვენცია იძლევა, მეოცე საუკუნის დიდი მონაპოვარია. იგი ევროსაბჭოს ეგიდით მიიღეს ქ. რომში ჯერ კიდევ 1950 წლის 4 ნოემბერს, რომლის მონაწილეც გახდა ამ საბჭოს ყველა წევრი ქვეყანა. კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს და იგი, პარლამენტის რატიფიცირების შემდეგ, ძალაში შევიდა იმავე წლის 20 მაისიდან. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ერთად მიღებულია კონვენციის დამატებითი ოქმები, რომლებიც ჩვენი პარლამენტის მიერ ასევე რატიფიცირებულია.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური საერთაშორისო მექანიზმია. სწორედ ამ კონვენციის საფუძველზე არის შექმნილი მისი ძირითადი საზედამხედველო ორგანო — ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სადაც მოქალაქეებს, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პირთა ჯგუფებს, შეუძლიათ დადგენილი პროცედურების დაცვით მიმართონ დარღვეული უფლებების აღსადგენად.

**— ადამიანთა ქონებრივ უფლებებზე, ასე ჰაიჰარად რომ ირღვევა საქართველოში, თუ არის რამე ნათქვამი ევროპის კონვენციაში?**

— რა თქმა უნდა, არის და ძალიან გამოკვეთილადაც. კერძოდ, კონვენციის პირველი ოქმის I მუხლში ჩაწერილია, რომ ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს მშვიდობიანად გამოიყენოს თავის ქონება. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება, თუ ეს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ასეთ შემთხვევაშიც კი მკაცრად უნდა იყოს დაცული ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპებით.

იხ. 8 გვ.

◎ ინფორმაცია

### სუბარი ხევიაშვილის გადადგომას მოითხოვს

**საქართველოს სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო არაეფექტურ მუშაობაში დაადანაშაულა და მინისტრ გიორგი ხევიაშვილის გადადგომა მოითხოვა. ამის შესახებ სუბარმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**„მიუღებელია, როდესაც სამინისტრო სოფელ პირველ გალში მცხოვრები 104 წლის ქალბატონისთვის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მინიჭებისთვის მისგან თბილისში პირადად ჩასვლას ითხოვს და როდესაც სხვა გზებით სამინისტრო მისთვის დახმარების აღმოჩენას ვერ ახერხებს, ესაა სამინისტროს არაეფექტური მენეჯმენტის დამსახურება. როდესაც გალის რაიონში მცხოვრები ოთხი შვილის დედა რამდენჯერმე ჩამოიყვანეს თბილისში და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება ვერ მოახერხეს, ესეც არასწორი მუშაობის დამსახურებაა“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

# ავი მეზობელი

**● სისხლიან ოპერაციებს ერთი მიზანი ჰქონდა: მოეწყოთ ისეთი ეთნიკური წმენდა, რომ ქართველებს აღარასოდეს ეფიქრათ საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე**



**◎ აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

# ჩვენ ქართველებს გავყრით და აქ დავრჩებით, რუსები აფხაზებთან ყოველთვის გამოვნახავთ საერთო ენას

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

**...თათბირზე აღინიშნა, რომ აფხაზ ხალხს მოლოდინი გაუცრუვდა.**

ეს „აფხაზი ეთნოსის, ენის, წეს-ჩვეულებებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის“ ყბადაღებული ბრძოლის შედეგია. განა მისი თვითგამორკვევისა და აღორძინებისათვის არ ებრძოდნენ ქართველობას, რომელიც „აფხაზური ენის დათრგუნვისა და გადაგვარების საშიშროება“ იყო? განა რუსეთთან ინტეგრაცია აფხაზებისათვის სათბურის პირობების შექმნას არ გულისხმობდა რუსეთის შემადგენლობაში?

ახლა ისევ მთავარ სათქმელს მივყვეთ.

სისხლიან ოპერაციებს ერთი მიზანი ჰქონდა: მოეწყოთ ისეთი ეთნიკური წმენდა, რომ ქართველებს აღარასოდეს ეფიქრათ საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე.

აფხაზეთის დაცემის შემდეგ სეპარატისტებმა არძინბას ხელმძღვანელობით, ჩრდილო კავკასიელებისა და რუსების საპატივცემლოდ, დაიწყეს ქუჩების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქართული დასახლების, ისტორიული ტოპონიმების გადარქმევა მთელ აფხაზეთში.

სეპარატისტების მიერ ანტიკონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დამრღვევი ქმედებები გაგებასა და მხარდაჭერას პოულობდა რუსეთის გარკვეული ძალებისა და გენერალიტეტის მხრიდან. აფხაზურმა მხარემ რუსეთის მდუმარე თანხმობითა და მოწონებით თავის დაქვემდებარებაში მოაქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამხედრო ნაწილი, სასაზღვრო და შინაგანი ჯარები, საზღვაო-სამხედრო ფლოტი, „აფხაზეთის საკუთრებად“ გამოცხადდა მათი ქონება, ტექნიკა და შეიარაღება. არძინბა ნიშნავდა რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს „დროებითი საბჭოს“ წევრებად, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო — მაიორი კლიმოვი ქალაქ სოხუმში დისლოცირებული, სამხედრო ნაწილის №5482-ის უფროსი, რომელიც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შინაგან საქმეთა ძალების ცალკე პოლკად გადაკეთდა.

საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის დანაშაულებრივი გეგმის განსახორციელებლად, აფხაზეთის ხელმძღვანელობას კავშირი ჰქონდა რუსეთის მთავრობის უმაღლეს ეშელონებთან.

ქალაქ სოხუმის ყოფილმა ადმინისტრაციის თავმა მ. ხაშბამ გამოიყენა ახლო ურთიერთობა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრ შოიგუსა და მის მოადგილე ვორონოვთან, რომლებიც რუსეთის მთავრობაში შედიოდნენ. **სეპარატის-**

## ფარული ომი

**ტებმა სანდო კავშირი დაამყარეს გენერალ რუცკოისთან, რომელიც 1993 წლის შემოდგომამდე რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო და მაშინდელ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ხაზბულატოვთან. რუცკოის აგარაკზე თუ თეთრ სახლში, სადაც განლაგებული იყო უმაღლესი საბჭო, ეს პირები სეპარატისტების სასარგებლოდ წყვეტდნენ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. არძინბას ნათქვამიდან გამომდინარე, სოხუმის შტურმი, რომელიც 1993 წლის 16 სექტემბერს დაიწყო, სანქცირებული იყო რუცკოისა და ხაზბულატოვის მიერ.** მაგრამ, არა მარტო რუცკოი და ხაზბულატოვი, არამედ რუსეთის უმაღლესი ეშელონების ხელმძღვანელებიც იყვნენ მომზადებული სამხედრო ოპერაციების კურსში.

ტყუილითა და პროვოკაციული სულისკვეთებით.

ომის პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოგზავნეს სამხედრო მზვერავები, რომლებიც წარმართავდნენ დივერსიულ სამუშაოებს. სეპარატისტების მხარეზე იბრძოდნენ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული შენაერთები. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ: **345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი, 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი, ქალაქ სოხუმში განლაგებული სამხედრო ნაწილი №5482** (რომელმაც 1992 წლის 14 აგვისტოს კონფლიქტის დაწყების დღეს, აფხაზურ მხარეს გადასცა 984 ავტომატი, 267 პისტოლეტი, 18 ხელის ტყვიამფრქვევი, 600 სასიგნალო რაკეტა, 500-ზე მეტი ხელყუმბარა და 500 ათასი სხვადასხვა კალიბრის ვაზნები, სამხედრო მანქანები და ტექნიკა, სამხედრო ფორმები, საკვები



1993 წლის 24 აგვისტოს მოსკოვში შედგა შეხვედრა ელცინსა და არძინბას შორის დახურულ კარს მიღმა. რაზე იყო საუბარი ამ შეხვედრაზე, არავინ არ იცის, მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო რუსეთის ფედერაციის ინტენსიური ზეწოლა საქართველოზე, დაუყოვნებლივ გაეყვანეთ შეიარაღებული ძალები და სამხედრო ტექნიკა აფხაზეთის ტერიტორიიდანო. **რუსეთმა სასწრაფოდ უზრუნველყო საქართველო დამხმარე საშუალებებით სამხედრო ტექნიკის გასაყვანად, და ამავე დროს, თვალი დახუჭა აფხაზი სეპარატისტების მაქსიმალურ შეიარაღებაზე. აფხაზეთის სამხედრო ხელმძღვანელებმა, როგორც კი ქართული მხარის განიარაღებას მიაღწიეს, ელცინთან შეხვედრიდან ოცი დღის შემდეგ, ახალთახალი რუსული სამხედრო ტექნიკის გამოყენებით დაიწყეს სოხუმის მასირებული შტურმი.**

**საერთოდ, აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების აღების გეგმები მტკიცდებოდა მოსკოვში, გენერალურ შტაბში.** საინფორმაციო, იდეოლოგიური მუშაობა რადიო-ტელევიზიისა და პრესის საშუალებით რუსეთის მხრიდან წარმოებდა, გაჟღენთილი იყო

პროდუქტები და სხვაძ, **სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები, თვითმფრინავები „სუ-25“, „სუ-27“, რომლებიც ბაზირებული იყვნენ გუდაუთაში ბომბორის, ქ. როსტოვისა და ქ. მაიკოპის სამხედრო აეროდრომებზე.**

აფხაზურ მხარეს არ ჰყავდა საჭირო სამხედრო სპეციალისტები, ამიტომ ისინი იწვევდნენ რუს სპეციალისტებს და ფულს უხდიდნენ მათ.

**რუსეთმა აფხაზეთს გამოუყო 14 მილიარდი რუსული მანეთი. მოსკოვში გახსნილი იყო სპეციალური ბანკი. აფხაზებს გაუჩნდათ ფული, იარაღი და მძიმე ტექნიკა. აფხაზეთს მხარს უჭერდა მთელი რუსეთი.**

**გუდაუთაში რუსეთის ტანკერებიდან გადმოიტვირთა 420 ტონა დიზელის საწვავი და ბენზინი.**

არმავირში, ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე, მიიღეს გადაწყვეტილება, მიმართონ რუსეთს, რომ დახმარება გაუწიოს აფხაზ სეპარატისტებს.

**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერლები: კონდრატიევი, სიგუდკინი, სოროკინი, ჩინდაროვი სისტემატურად იმყოფებოდნენ ქ. გუდაუთაში, იქიდან აკონტროლებდნენ სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობას, ხშირად კი უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდნენ ოპერაციებს. ამ საქმეში მონაწილეობდნენ აგრეთვე: გენერალი კოლესნიკოვი, პოდპოლკოვნიკები: კრავჩუკი, კუდილოვი, დოლგოპოლოვი და სიდორენკო, მაიორები: კლიმოვი, კოლოდინი და სემუგულინი, კაპიტნები: ბონდარენკო, ალფეროვი და ნიკოლაევი. კაზაკური ნაწილის პოლკოვნიკი ო. პეტროვი, ყუბანის პირველი ასეულის ხელმძღვანელი ნ. გუსკო.**

**აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალები ფაქტობრივად გადაიქცნენ სეპარატისტთა თანამონაწილეებად.**

**გუდაუთის (ბომბორისძ რუსული სამხედრო ბაზა, მისი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა მთლიანად სეპარატისტთა განკარგულებაში იყო. აქედან აფრენილი რუსული სამხედრო თვითმფრინავები ბომბავდნენ სოხუმს, დრანდას, ბაბუშერას, ოჩამჩირის რაიონის სოფლებს, ქართული შეიარაღებული ძალების პოზიციებს, სარკინიგზო შემადგენლობებს, უშუალოდ ებრძოდნენ ქართულ თვითმფრინავებს.**

1993 წლის 21 და 22 სექტემბერს სოხუმის დრანდის აეროპორტში დაშვებისას, სეპარატისტების ხომალდებიდან გასროლილი რუსული სითბური რაკეტებით ჩამოაგდეს სოჭი-სოხუმისა და თბილისი-სოხუმის სარეისო თვითმფრინავები. სოჭიდან გამოფრენილ თვითმფრინავს მოჰყავდა აფხაზეთის მშვიდობიანი მკვიდრი მოსახლეობა. თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. ყველა მგზავრი დაიღუპა. მეორეს კი სოხუმის გადასარჩენად თბილისელი მეომრები მიჰყავდა. თვითმფრინავი ასაფრენ ზოლზე დაეცა, მეომრები ცოცხლად დაიწვნენ.

1993 წლის 20 თებერვალს, რუსულმა თვითმფრინავებმა სოხუმში ჩამოყარეს ბომბები,

1993 წლის 12 მარტს, სამმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაბომბა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერა.

1 აპრილს, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოხუმის საცხოვრებელი უბნები.

6 მაისს, ორმა რუსულმა თვითმფრინავმა სოხუმში, ჭანბას ქუჩაზე, პარაშუტებით ჩამოაგდო სამი 500-კილოგრამიანი ბომბი.

4 ივნისს, ორი რუსული სამხედრო ვერტმფრენი „МИ-8“ შეეცადა დესანტი გადმოესხა სოფ. შრომაში, მაგრამ ქალაქის დამცველებმა ვერტმფრენი ააფეთქეს.

27 სექტემბერს, რუსულმა ავიაციამ ბომბები ჩამოყარა გემების მახლობლად, რომლებიც მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციას ახდენდნენ.

სოხუმის შტურმის დღეებში ბევრმა დაინახა რუსი სამხედროები მთელი საბრძოლო აღჭურვილობით.

**მოამზადა**
**სანდრო ალექსიძემ**

**(დასასრული იქნება)**

**ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ**
**იხ. „სრ“ № 78.**

**◎ ინფორმაცია**

## განიხილავენ ბეჟუაშვილის კანდიდატურას

**კონტროლის პალატის ხელმძღვანელის პოსტზე სავარაუდო კანდიდატად, არაოფიციალური ინფორმაციით, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟუაშვილი სახელდება.**

**ამ ინფორმაციას საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციაში ჯერ არ ადასტურებენ.**

**თავად ლევან ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ ამის შესახებ ჟურნალისტებისგან შეიტყო.**

**ამასთან, კონტროლის პალატის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ოპოზიციურ ფრაქციებში, სავარაუდოდ, დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძის კანდიდატურა განიხილება. თუმცა, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული არ არიან.**

**ბიძინა გუჯაბიძე კი აცხადებს, რომ, მართალია, ოპოზიციის ინიციატივაა, კონტროლის პალატის ხელმძღვანელი ოპოზიციიდან იყოს, თუმცა კანდიდატურაზე ჯერ არ შეთანხმებულან.**

**კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ზურაბ სოსელია გარდაიცვალა. კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, პარლამენტი ამტკიცებს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ვიზიტი კახეთში

**ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ლაშა გოცირიძესთან ერთად, კახეთის რეგიონში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციისათვის უკვე განხორციელებულ და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. სამუშაოების საერთო ღირებულება 21,5 მილიონი ლარია.**

**მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ფინანსდება 2005 წელს წყალდიდობის დროს დაზიანებული ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის 700 ათასი ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო და გამაგრებითი სამუშაოები.**

**სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო ღონისძიებები უახლოეს ხანებში დასრულდება რაც ადგილობრივი მოსახლეობის სარწყავი წყლით გარანტირებულ მიწოდებას უზრუნველყოფს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

# გადასახედი

● რაგინდ დაკავებულიც უნდა ყოფილიყო მიწიერი საქმეებით, ყოველთვის პოულობდა დროს ასტრონომიული გამოკვლევებისათვის. როგორც წესი, შაბათს და კვირას აბასთუმანში მუშაობდა



◎ უკვდავი სახეები

# სამი დიდი პრეზიდენტი

## 3. ევგენი ხარაძე – მეცნიერი, მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე

**ბატონი ევგენი ხარაძე არაორდინარული პიროვნება, რაფინირებული ინტელიგენტი, ფართო ერუდიციის, ნატიფი გემოვნების, მაღალი მოქალაქეობრიობის, დაუშრეტელი ენერგიისა და სხვა მისთვის დამახასიათებელი უნიკალური თვისებების მქონე ადამიანი იყო.**

დაიბადა 1907 წლის 31 ოქტომბერს თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. თბილისშივე მიიღო საშუალო განათლება. 1925 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა.

ბატონი ევგენის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში ობსერვატორიის შექმნის იდეის განხორციელების ისტორიასთან, მის მშენებლობასა და უნიკალურ სამეცნიერო დაწესებულებად გადაქცევასთან. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია სამართლიანად ითვლება მის ქმნილებად.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში ახალი ტექნიკისა და ახალ წარმოებათა ათვისებასთან ერთად, დაისვა მეცნიერების განვითარების ამოცანა, მათ შორის ასტრონომიის – ცოდნის ამ უძველესი დარგის, რომელიც საზოგადოების ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

რუსეთსა და ყოფილ სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში იმ პერიოდში საკუთარი ასტრონომიული დაკვირვებების დეფიციტი იგრძნობოდა. მთავრობის გადაწყვეტილებით ამერიკის შეერთებულ შტატებში პულკოვოდან ასტრონომთა ჯგუფი გაიგზავნა, რომელსაც ამერიკელ მეცნიერთა მიღწევების უფრო ახლო გაცნობა დაევალა.

ე. ხარაძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში (1927 წელიძ მუშაობა დაიწყო თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში გამომთვლელად, სადაც გაიცნო ლენინგრადის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტის პროფესორი ბორის ნუმეროვი, რომლის ინიციატივით ჩამოყალიბებულმა სპეციალურმა ექსპედიციამ დაათვალიერა ყოფილი სსრ კავშირის სამხრეთის მთიანი რაიონები, მათ შორის საქართველო (ცემი, წაღვერი, აბასთუმანიძ. ამ ექსპედიციის შემადგენლობაში ე.ხარაძეც შედიოდა.

1931 წელს, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ, ბ. ნუმეროვის რეკომენდაციით ე. ხარაძე ჩაირიცხა ლენინგრადის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამავე წლის შემოდგომაზე ბ. ნუმეროვმა მოიწვია დიდი თათბირი, რომელმაც განიხილა ექსპედიციის მუშაობის შედეგები და საბოლოოდ რეკომენდაცია გაუწია აბასთუმანში ობსერვატორიის ორგანიზაციის დაწყების წინადადებას. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისში ყველა საჭირო ღონისძიების გატარება ე. ხარაძეს დაავალა.

1932 წლის 8 თებერვალს საქართველოს მთავრობამ, ე.ხარაძის მოხსენების საფუძველზე, მიიღო დადგენილება აბასთუმანში ასტროფიზიკური ობსერვატორიის ორგანიზაციის თაობაზე. ჯერ კიდევ არარსებული ობსერვატორიის დირექტორად დაინიშნა ასტრონომიით გატაცებული ოცდახუთი წლის ევგენი ხარაძე. ასე წარმოიშვა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ობსერვატორიის მშენებლობას ყანობილის მთაზე, ზღვის დონიდან 1700 მეტრის სიმაღლეზე.

ობსერვატორიის მშენებლობა, რომელსაც ე. ხარაძე ხელმძღვანელობდა, მიმდინარეობდა მაღლა მთაში, ტყეში, უგზოობის პირობებში. საჭირო იყო დაუცხრომელი ენერგია და მიზანდასახული მოქმედება მშენებლობის პროექტის ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

1931 წელს ბ. ნუმეროვმა აბასთუმანში ახალგაზრდა ასტრონომთა ჯგუფი მიავლინა, რომლებმაც სასწავლო ტელესკოპი ჩამოიტანეს ვიზუალურ დაკვირვებათა ჩასატარებლად. ამ ჯგუფმა, ე.ხარაძესთან ერთად, აქტიური მუშაობა გაშალა აბასთუმანში. პირველ წლებში აქ სულ სამი ადგილობრივი თანამშრომელი იყო.



1934 წელს ყანობილის მთაზე მისასვლელი გზის გაყვანა და დიდი კოშკის მშენებლობა დაიწყო რეფრაქტორის დასაყენებლად, რომელიც როსტოვიდან უნდა ჩამოეტანათ.

იმ წლებში ბატონ ევგენის შეხვდებოდით თბილისში, სადაც არწმუნებდა, უმტკიცებდა და ყოველთვის ახერხებდა საჭირო სამშენებლო მასალების შოვნას; ნახავდით მოსკოვში, სადაც საჭირო დანადგარებზე მოლაპარაკებას აწარმოებდა და თითქმის აქაც, ყოველთვის დადებით შედეგს აღწევდა. ერთდროულად მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა.

1936 წელს ლენინგრადში დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1937 წლიდან დაიწყო „აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენის" სისტემური გამოცემა.

ობსერვატორიის და თბილისის უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გახსნის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში ობსერვატორია ასტრონომების ადგილობრივი კადრებით შეივსო, რაც ე. ხარაძის დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგი იყო.

მეორე მსოფლიო ომის პირველივე წელს აბასთუმნის ობსერვატორიამ შეიფარა ყირიმის (სიმეიზისძ ობსერვატორიიდან ევაკუირებულ მეცნიერ-ასტრონომთა მცირე ჯგუფი აკადემიკოს გ. შაინის ხელმძღვანელობით. მათ ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი მეცნიერული მუშაობის გაგრძელებისათვის.

1948 წელს ე.ხარაძე მოსკოვში იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1950 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო ხუთი წლის შემდეგ – ნამდვილ წევრად (აკადემიკოსადძ.

მეცნიერული მოღვაწეობის მრავალი წელი ვარსკვლავთშორისი მატერიის შესწავლას მიუძღვნა, დაკვირვებებს 1938-1948 წლებში აბასთუმნის ობსერვატორიაში ატარებდა.

ე. ხარაძემ იმ დროისათვის ყველაზე სრული და ზუსტი უნიკალური 14000 ვარსკვლავის ფერის მაჩვენებელთა კატალოგი მოამზადა, რომლის ყოველმხრივმა ანალიზმა საშუალება მისცა გამოევლინა რეალური, მანამდე უცნობი ვარსკვლავთშორისი შთანთქმადი მატერიის განაწილების სურათი. კატალოგმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ე. ხარაძეს ეკუთვნის ცნობილი გამოკვლევები ასტრონომიული კლიმატის, ცვალებადი ვარსკვლავების და სხვათა შესწავლის დარგში. მის მიერ გამოსცა ფუნდამენტური სახელმძღვანელო „ასტროფიზიკის ზოგადი კურსი" და „ასტრონომიის საფუძვლების" ორტომეული ქართულ ენაზე.

არავის გაუკეთებია ასტრონომიის პოპულარიზაციისათვის იმდენი, რამდენიც ბატონმა ევგენიმ გააკეთა. გამოიცა მრავალი სამეცნიერო- პოპულარული წიგნი, ბროშურა, ცალკეული სტატია ჟურნალებსა და გაზეთებში.

აღსანიშნავია, რომ ობსერვატორიაში ე. ხარაძემ დაიწყო და შემდგომ განვითარდა გამოკვლევები თანამედროვე ასტრონომიის მრავალ დარგში. აქ წარმატებით მიმდინარეობდა კვლევა-ძიება ვარსკვლავთშორისი გარემოს გალაქტიკის აგებულების, ცვალებადი და არასტაციონარული ვარსკვლავების, მთვარის ზედაპირის ბუნების შესწავლის მიმართულებით.

მან მთელი თავისი ცოდნა და ენერგია აბასთუმნის ობსერვატორიის დაარსებას მოახმარა. ცარიელ ადგილზე შექმნა სამეცნიერო ცენტრი, აღზარდა კვალიფიციური კადრები, განავითარა გამოკვლევები ასტრონომიის მრავალ დარგში, ობსერვატორია აღჭურვა თანამედროვე დანადგარებითა და აპარატურით, მდიდარი ბიბლიოთეკით, დაამყარა კავშირები მსოფლიოს წამყვან ასტრონომიულ ცენტრებთან.

1959 წელს ე. ხარაძეს ობსერვატორიასთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც დაეკისრა, სადაც მკაფიოდ გამომჟღავნდა მისი ისეთი თვისებები, როგორიც არის პრინციპულობა, მომთხოვნელობა, კომპეტენტურობა, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იყო უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა. ბატონი ევგენი სანიმუშო რექტორი გახლდათ.

ე.ხარაძის ორგანიზატორული მოღვაწეობის სფერო განუზომლად გაფართოვდა, როდესაც 1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1978 წელს – პრეზიდენტად აირჩიეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და პრეზიდენტის პოსტზე აგრძელებდა იმ ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს მისმა სახელგანთქმულმა წინამორბედებმა. იგი დღენიადაგ ზრუნავდა პერსპექტიულ მიმართულებათა განვითარებასა და წარმოებასთან შედეგიანი კავშირების განმტკიცებაზე.

1984 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსადძ აირჩიეს.

რაგინდ დაკავებულიც უნდა ყოფილიყო მიწიერი საქმეებით, ყოველთვის პოულობდა დროს ასტრონომიული გამოკვლევებისათვის. როგორც წესი, შაბათს და კვირას აბასთუმანში მუშაობდა.

საოცარი შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა, შეეძლო რამდენიმე საქმე ერთდროულად ეკეთებინა. მისი დღის განრიგი ყოველთვის მკაცრი იყო.

ერთი შეხედვით ე. ხარაძე ძალზე თავშეკავებულ, მშრალ ადამიანად მოგეჩვენებოდათ, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილება იყო, სინამდვილეში იგი იყო უაღრესად ყურადღებიანი და გულისხმიერი, ყოველთვის დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ობსერვატორიის თანამშრომლებისადმი, პრეზიდიუმის აპარატის მუშაკებისადმი, კოლეგებისა და საერთოდ ყველას მიმართ, ვინც კი მას მიმართავდა.

ბატონი ევგენი შრომის, მოქმედების, დაუღალაობის სიმბოლო იყო. იგი სიცოცხლის ბოლომდე საქმეზე, ქვეყანასა და ხალხზე ფიქრობდა.

**ლევან მგალობლიშვილი,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 64, 67.**

◎ ინფორმაცია

## „ეს ანტაგონიზმის გაღვივების მცდელობაა"

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მიხეილ კამინინი ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობის განცხადებას ეხმაურება.**

**როგორც სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარშია აღნიშნული, მათი განცხადება ერთგვარი გაფრთხილებაა მათთვის, ვინც ცდილობს ჩაშალოს მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესი და გააღვივოს დაძაბულობა კონფლიქტის ზონებში.**

**„ჩვენ არა ერთხელ განვაცხადეთ, რომ საქართველოს მცდელობა, შექმნას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მარიონეტული ხელისუფლებები, არ შეესაბამება მის მიერვე წამოყენებულ წინადადებას სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებასთან პირდაპირი დიალოგის გამართვის შესახებ", – ნათქვამია კომენტარში.**

**კამინინი აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებს აქვთ უფლება ასეთი ქმედებები განიხილონ არა როგორც კონფლიქტის მოგვარების, არამედ როგორც მხარეებს შორის ანტაგონიზმის გაღვივების მცდელობა.**

**რაც შეეხება საქართველოს ნატოში ფორსირებული წესით გაერთანებას, კამინინი მიიჩნევს, რომ ამაში მართლაც ბომბია დამარხული, რადგან ასეთ შემთხვევაში მოლაპარაკებების ყველა გზა საბოლოოდ გადაიკეტება.**

**„ამის გამო პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას და ამ სქემის ბრიუსელელ და ვაშინგტონელ სტრატეგებს დაეკისრებათ", – აცხადებს კამინინი.**

## უსამძიმრებენ ლავროვს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა თავის რუს კოლეგას სერგეი ლავროვს ბორის ელცინის გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილი გაუგზავნა.**

**რუსეთის პირველ პრეზიდენტი ბორის ელცინი გუშინ მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მეუღლის, რაისა გორბაჩოვასა და რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, ალექსანდრე ლებედის გვერდით დაკრძალეს.**

**ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანებით, 25 აპრილი რუსეთში საერთო გლოვის დღედ გამოცხადდა.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

● თუ ადრე სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა დავის საგნის ღირებულების 2,5 პროცენტს და იგი არ აღემატებოდა 5000 ლარს, ამჟამად სარჩელებზე ბაჟის ოდენობა გაიზარდა 3 პროცენტამდე, ხოლო ბაჟის ზედა ზღვარი — 50000 ლარამდე



◉ კანონი და ჩვენ

# საკუთრების ხელყოფა უმძიმესი დანაშაულია

(მეხუთე გვერდიდან)

რა თქმა უნდა, აღნიშნული დებულება არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას — მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც მას მიაჩნია საჭიროდ ქონების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საერთო ინტერესების შესაბამისად, ან გადასახადის გადახდის თუ სხვა შენატანების და ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად.

ევროპის კონვენცია გახლავთ პირველი რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელმაც გაითვალისწინა კერძო საკუთრებაზე ყველას უფლება, რაც თავის მხრივ აუცილებელი პირობაა იმისა, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს ეკონომიკური თავისუფლება. ამის გარეშე ხომ შეუძლებელია პოლიტიკური თავისუფლებაც.

**— ყოველივე ამის შემდეგ, თუ პირი მაინც უკანონოდ დააკავეს ან დააპატიმრეს, იგი რა უფლებით სარგებლობს?**

— ასეთ შემთხვევაში, ყოველ პირს, კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია, რომელსაც სარჩელის ძალა აქვს.

**— ბატონო გიორგი, თუ არ დაგვზარდებით, აქვე მინდა გკითხოთ ბაჟის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებზე, რომელთა განმარტებითაც დაინტერესებული არიან იმპორტიორები, ჩვენი მეწარმეები და ბიზნესმენები.**

— ამის საბაბი მათ ნამდვილად აქვთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 თავში (პროცესის ხარჯები) 2005 წლის 20 დეკემბრისა და 2006 წლის 13 ივლისის კანონით შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რომელთა ცოდნა მათთვის აუცილებელია.

**— კერძოდ, რა სიახლეა შეტანილი კანონში?**

— სიახლეა ის, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. ბაჟს ახდევინებენ არა მარტო სარჩელზე, არამედ განცხადებებზეც, მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

დაზუსტდა და დაკონკრეტდა ბაჟის ოდენობა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული თითოეული შემთხვევისათვის. კანონით განისაზღვრა ბაჟის ოდენობის როგორც ქვედა, ისე ზედა ზღვარი, რამაც ამ საკითხში მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეიტანა. მთლიანობაში ბაჟის ოდენობა საგრძნობლადაა გაზრდილი, რაც, ბუნებრივია, გადამხდელებს ხელს არ აძლევთ. მაგალითად, თუ ადრე სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა დავის საგნის ღირებულების 2,5 პროცენტს და იგი არ აღემატებოდა 5000 ლარს, ამჟამად სარჩელებზე ბაჟის ოდენობა გაიზარდა 3 პროცენტამდე, ხოლო ბაჟის ზედა ზღვარი — 50000 ლარამდე. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ასევე გაზრდილია სააპელაციო, საკასაციო და კერძო საჩივრებზე.

**— ასეთ ცვლილებებს, ალბათ, დადებითთან ერთად მეორე მხარეც აქვს.**

— რა თქმა უნდა. ბაჟის გაზრდის გამო სასამართლოები უფრო დაცული იქნებიან მრავალრიცხოვანი უსაფუძვლო სარჩელებისა და განცხადებებისგან, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს როდი ექნება საშუალება, მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლებების აღსადგენად. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან. თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს, ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მოიწვიოს ადვოკატი სახელწიფოს ხარჯზე. გარდა ამისა, იმავე კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია, ერთ-ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს ბიუჯეტის სასარგებლოდ ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს ხარჯების ოდენობა. ასე რომ, ცვლილებები საგრძნობია და მას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი.**

◉ გლობუსი




# გაზაფხულის

**გლობალიზაციისა და ერთპოლუსიან მსოფლიოზე არაერთხელ გამახვილდა ყურადღება წინა სტატიებში. ითქვა იმის შესახებაც, თუ რამდენად სახიფათოა ერთი სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში აშშ-ს, მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერობა.**

ამ თემებს ამჯერად ნაკლებად მიექცეოდა ყურადღება, რომ არა სუპერ სახელმწიფოს მორიგი თავშეუკავებელი გამოწვევა. ამერიკული პოლიტიკური სისტემის ისეთმა უმნიშვნელოვანესმა რგოლმა, როგორიცაა სახელმწიფო დეპარტამენტი, მორიგი მოხსენება გამოაქვეყნა, სადაც გამოკვეთილია სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა.

რესპექტაბელური ორგანო მკაცრად აკრიტიკებს რუსეთის საშინაო ცხოვრებას და მიზნად ისახავს სერიოზული ფინანსური დახმარებით მხარდაჭერა აღმოუჩინოს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ რადიკალურ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს.

ე. წ. დემოკრატიის განვითარების მიზნით, შარშან აშშ-მ ბელორუსიასა და რუსეთში 1.2 მილიარდი დოლარი დახარჯა. წლეულს უფრო მეტია დაგეგმილი, ვინაიდან მიზნები ყოვლისმომცველია — რუსეთში დემოკრატიის გავრცელება, სახელმწიფო სათათბიროსა და პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადება, არჩევნების გამჭვირვალედ, პატიოსნად და სამართლიანად ჩატარება. სახელმწიფო დეპარტამენტი არჩევნების სამართლიანად ჩატარების საქმეში მონაწილეობის მისაღებად ეუთოსა და ევროკავშირს მოუწოდებს.

რუსეთის გადემოკრატიულობისათვის, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში რუსი ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის აშშ-ში მოეწყობა სასწავლო კურსები, სემინარები, მრგვალი მაგიდის დისკუსიები. ანალიტიკური ცენტრებისათვის გაიცემა გრანტები და სხვა.

სახელმწიფო დეპარტამენტისათვის უცნობი არ უნდა იყოს, რომ რუსეთის კანონმდებლობა კრძალავს პოლიტიკური პარტიების უცხოეთიდან დაფინანსებას.

მოხსენებაში სხვა მრავალი „მარგალიტია“ მიმოფანტული, რაც ცხადყოფს აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის ნაკლებად მეგობრულ დამოკიდებულებას რუსეთის ხელისუფლების მიმართ.

ამერიკელთათვის მიუღებელია დამოუკიდებელი აზროვნების სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს. რუსეთი მაშინ ითვლებოდა „დემოკრატიულ“ სახელმწიფოდ, როდესაც ამერიკელი ექსპერტები საკუთარი სახლივით დადიოდნენ კრემლში. რუსეთის ხელისუფალთა, კერძოდ გორბაჩოვ-ელცინის დროს დაშვებულმა სახელმწიფოებრივმა უხეშმა შეცდომებმა დღეს იჩინა თავი. კრემლის მაღალჩინოსანთა მორჩილებას მიჩვეული ამერიკელებისათვის პუტინის ნაკლებად დამჯერი ადმინისტრაცია მიუღებელია.

სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებამ გააბრაზა რუსი პოლიტიკოსები, მათ შორის, ოპოზიციონერებიც. სახელმწიფო დეპარტამენტის მოუზომავი მოხსენება პოლიტიკასთან ახლოს თუ შორს მყოფი ნებისმიერი ადამიანისათვის შეურაცხმყოფელია, მაგრამ ამერიკელებს ეს არ ადარდებთ. ამერიკა მსოფლიო ლიდერია. ლიდერი კი ისე იქცევა, როგორც სურს.

რა დონეზე უნდა იყოს სახელმწიფო დეპარტამენტი, რომ ჟურნალისტ განაპოლსკის კითხვაზე — როგორ შეაფასებდა მოხსენებას, პოლიტოლოგმა ლეონტიევმა აბსურდი უწოდა და სამჯერ ისიც დაუმატა — „ნასრალ ნა იხ მნენიე“. ჩვენი აზრით, ამ სერიოზულ ორგანოს ისე არა უნდა წაეხდინა სახელი, რომ ლეონტიევს მთელს მსოფლიოს მოდებული ტელეკომპანია RTVI ეკრანიდან თავზე დაესვარა მისთვის.

წინამდებარე სტატიის მიზანი სულაც არ არის რუსეთის დაცვა. ის თვითონ მოაგვარებს საკუთარ პრობლემებს და ამერიკასთან ურთიერთობას, შემაშფოთებელია მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერის, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს უკიდეგანო, უსაზღვრო ამბიციურობა, სხვის საშინაო საქმეებში ხელის ფათური, სხვათა ისტორიის, კულტურის, ტრადიციების აშკარა უპატივცემულობა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგით ბრძოლა ჯიუტი, მისთვის მიუღებელი სხვა ქვეყნების ხელისუფალთა შეცვლისათვის.

სახელმწიფო დეპარტამენტი მარტო არ არის. მას ვაშინგტონელი პოლიტიკოსებიც უმაგრებენ ზურგს. კლასის მკაცრი დამრიგებლის ფუნქცია, რომელიც დიდმა სახელმწიფომ თვითნებურად მიითვისა, შესაძლებლობას აძლევს მას თითი დაუქნიოს სხვას.

დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი ხარისხის მატარებლად აშშ-ის ადმინისტრაცია მხოლოდ იმ ქვეყნებს მიიჩნევს, რომლებიც თავიდან ბოლომდე დამოკიდებული არიან ვაშინგტონზე და უყოყმანოდ ასრულებენ ვაშინგტონის ნებისმიერ დავალებას, თუნდაც ისეთი „მნიშვნელოვანის“, როგორიც სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას მარჯვენა ხელის გულზე დადებაა. ამ დავალებას სხვაზე უკეთ საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტები ასრულებენ.

აშშ-ის პრეზიდენტის განმარტებით, ერაყი ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანაა, ხოლო საქართველო „კავკასიის დემოკრატიის შუქურა“.

ერაყში არსებულ დემოკრატიაზე სტატისტიკაც კარგად მეტყველებს — 2000 დაღუპული ადამიანი უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში. თვით ამერიკული პრესის მიხედვით, სახელმწიფო მოხელეთა კორუფციული ჯიბეები წლიურად 4 მილიარდ აშშ-ის დოლარს შთანთქავს. ერაყის შიიტების 80 პროცენტი და სუნიტთა 85 პროცენტი დაბეჯითებით მოითხოვს ამერიკელთა ერაყიდან გასვლას. ამერიკელთა დარჩენა მხოლოდ ერაყის ხელისუფლებას და მის ირგვლივ შემოკრებილ ვიწრო წრეს აწყობს. ომი წაგებულია, ერაყი უნდა დავტოვოთო, განაცხადა სენატის დემოკრატთა ლიდერმა რიდმა. „დემოკრატი“ პრეზიდენტი — კატეგორიული წინააღმდეგია.



საქართველოს დემოკრატიულობის შესახებ ამერიკელ პოლიტიკოსებზე უკეთ საქართველოს მოსახლეობამ უწყის. მან ასევე კარგად იცის, საქართველოს ეკონომიკური პირველობის ზღაპარიც. სოციალური სიდუხჭირით გათანგული მოსახლეობა საკუთარ თავზე ცდის „ეკონომიკური წინსვლის“ შედეგებს, რასაც ამერიკელთა გათვლით საქართველოში ჰქონდა ადგილი. რა გაეწყობა, ამერიკამ უკეთ იცის და უნდა დავუჯეროთ, მაშინაც კი, როდესაც ყელამდე სიღარიბის ჭაობში ვართ ჩაფლული.

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

**ეკონომიკურ-სოციალურმა გაუსაძლისობამ გამოიყვანა ასობით საქართველოს მოქალაქე ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგებზე. საქართველოს ხელისუფლების მოჭარბებულ თავდაჯერებულობას თუ პირიქით, არაპროფესიონალიზმს უნდა მიეწეროს ფასების ერთდროული მატება გაზზე, წყალზე, ტრანსპორტზე, ისტორიულ უბნებში ცხოვრებაზე, კვების პროდუქტებზე და სხვა**



◎ იქნებ, ჩვენც გამოგვეყენებინა?

# ასფალტი, რომელიც მავნე გამონაბოლქვებს „ჭამს“

**სხვადასხვა ტიპის გზის გაყვანისას გზატკეცილებზე დასაგებად გამოყენებულ მასალათა სახეობები ძირითადად ქვეყნის (ქალაქისძ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, შრომისა და დროის დანახარჯებზე, ექსპლუატაციის ხანგრძლივობაზე, რემონტის ღირებულებებსა და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული.**

არქეოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ გზების დასაფარად ასფალტი პირველად ბაბილონელებმა გამოიყენეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 600 წელს. ასფალტს აქვს ბგერის არეკვლის უნარი, ამიტომაც არის ჩვენი მაგისტრალების გასწვრივ ასეთი მაღალი ხმაურის დონე, რომელიც განსაკუთრებით ნეგატიურად და გამაღიზიანებლად ღამის საათებში მოქმედებს.

ამიტომაც იყო, რომ დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის — ინგლისის, ჰოლანდიის, ავსტრიის მრავალ ქალაქში დააგეს ე. წ. ფოროვანი ასფალტი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა არა მარტო ხმაურის დონე, არამედ საბურავების ცვეთა და საწვავის ხარჯიც გადარბენების ერთეულზე.

არანაკლებ გავრცელებულია ბეტონისფილებიანი საფარი, რომელსაც მრავალი უპირატესობა აქვს ე. წ. ჩვეულებრივ საფართან შედარებით (მაგ. ლატვიაში ძირითადად ასეთი ტიპის მაგისტრალებიაძ. ბეტონი შედარებით ნაკლებად ზიანდება ტემპერატურის ცვალებადობისგან: არ ზიანდება ყინვაში და არ რბილდება სიცხეში (ასფალტი კი ეკოლოგიურად უფრო მავნეა, მით უმეტეს, ცხელი კლიმატის სარტყელშიძ, მისი რემონტიც შედარებით ადვილია და თანაც მარტივი, რემონტის შემდეგ არ რჩება ულამაზო ღრიჭოები და ნაპრალები, ზედაპირი უფრო სწორი და თანაბარია, ამასთანავე, ფილების სხვადასხვა განლაგებით შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა კონფიგურაცია, ორიგინალური კომპოზიციები.

როგორც დადგენილია, ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურებაში ლომის წილი უდევს ავტოტრანსპორტს. მასზე მოდის ატმოსფეროში არსებული $CO_2$-ის 90 პროცენტი და აზოტის ჟანგეულების 70 პროცენტი, ასევე გამოყოფილი მძიმე ლითონები და სხვა მავნე ქიმიური აგენტები. იტალიურ ფირმა „იტალოცემენტში“ ხანგრძლივი კვლევების შედეგად მიიღეს ცემენტი, რომელიც წმენდს ჰაერს ავტომანქანის გამონაბოლქვი აირებიდან.

ფირმაში ასფალტის ქიმიური დამუშავება წარმოებს ტექნოლოგიით, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ტიტანის ორჟანგის ნანონაწილები. მზის სხივების ზემოქმედებით, ეს ქიმიურად აქტიური ნივთიერება დაუწვავ ნახშირბადს, მხუთავ გაზს, აზოტის ორჟანგს და გოგირდის ნაერთებს წყლის მოლეკულებად და მყარ მარილებად გარდაქმნის.

ცდებმა აჩვენა, რომ თუ ამგვარი ასფალტით დავფარავთ დიდი ქალაქის მოედნებისა და ქუჩების მხოლოდ 15 პროცენტს, ქალაქის ჰაერი ორჯერ (!ძ უფრო სუფთა გახდება. ჯერჯერობით გამოშვებულია 900 ტონა ასფალტი. ფირმამ უამრავი შეკვეთა მიიღო.

კიდევ ერთი საკითხი: როგორც ვიცით, თბილისისთვის დამახასიათებელია ვიწრო ქუჩები და ჩიხები, სადაც საკმაოდ გაძნელებულია ტრანსპორტის მოძრაობა. განსაკუთრებით რთულდება სიტუაცია მაშინ, როცა გვჭირდება მანქანის შემოტრიალება.

ამ მდგომარეობიდან გამოსავლის საკმაოდ ორიგინალურ ხერხს მიმართეს ახალ ზელანდიაში. ასეთ ქუჩებში გამოიყენეს რკინიგზის დეპოებში არსებული მოსაბრუნებელი სადგამის მსგავსი პრინციპი. ასეთ სადგამს ამაგრებენ ასფალტის ზევით დაახლოებით 1 სმ-ზე. მძღოლი აყენებს მანქანას ამ მოსაბრუნებელ რგოლზე, მართვის პულტის ჭრილის ჩამოწეულ ფანჯარაში დებს მონეტას და თითს ღილაკს აჭერს. 15 წამში მანქანა 180 გრადუსით ტრიალებდა და მძღოლიცა და მგზავრებიც ყოველგვარი ნერვიულობისა და წვალების გარეშე მშვიდად აგრძელებენ გზას.

იქნებ, ჩვენც გამოგვეყენებინა ეს გამოცდილება?

**მედეა თავდიშვილი**

◎ ინფორმაცია

## თავს დამნაშავედ არ გრძნობენ

**„რესპუბლიკელები“ სტუდენტებისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებენ.**

**როგორც „რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა, დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ბოდიშს მხოლოდ მას შემდეგ მოიხდის, თუ ამის მიზეზს განუმარტავენ.**

**მისი თქმით, ბოდიში სტუდენტებს აქვთ მოსახდელი „რესპუბლიკელების“ ოფისის დარბევისა და პროვოკაციის მოწყობისთვის.**

**მანვე აღნიშნა, რომ იგი სტუდენტებს კონკრეტულ ვადას არ უთქვამს ბოდიშის მოსახდელად და მათ „ვადა მთელი ცხოვრება აქვთ“.**

**„სტუდენტები უნდა დაფიქრდნენ, ემსახურებოდნენ თუ არა პოლიტიკურ ელიტას და უნდა იყვნენ თუ არა ვინმეს მიერ დაქოქილები“, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.**

**ინტერპრესნიუსი**



◎ გლობუსი

# ციებ-ცხელება

ეკონომიკურ-სოციალურმა გაუსაძლისობამ გამოიყვანა ასობით საქართველოს მოქალაქე ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგებზე. საქართველოს ხელისუფლების მოჭარბებულ თავდაჯერებულობას თუ პირიქით, არაპროფესიონალიზმს უნდა მიეწეროს ფასების ერთდროული მატება გაზზე, წყალზე, ტრანსპორტზე, ისტორიულ უბნებში ცხოვრებაზე, კვების პროდუქტებზე და სხვა. მოჭარბებული თავდაჯერებულობა მაშინ მოდის, როდესაც ყველა ჩანაფიქრს, მათ შორის ცუდს პრობლემების გარეშე გაატარებ ცხოვრებაში. მსგავს მაგალითებს უხვად ჰქონდა და აქვს ადგილი 2004 წლიდან დაწყებული. მოსახლეობა მონუსხულივით შეჰყურებდა ხელისუფლებას. მისი მხრიდან მძაფრ რეაქციას ადგილი არ ჰქონია. ჩუმად ყოფნა თანხმობის ნიშანია. ხელისუფლების თავდაჯერებულობაც საზოგადოების სიჩუმის შედეგია.

რაც შეეხება არაპროფესიონალიზმს, დღევანდელ თინეიჯერულ ხელისუფლებაში მისი დეფიციტი ნამდვილად არ შეინიშნება. გამოუცდელობის და არაპროფესიონალიზმის აშკარა დემონსტრირებაა ფასების ერთდროული მატება. უნდა ვიფიქროთ, რომ მალე ჰაერის მოხმარებაზეც დაწესდება ფასები.

ხელისუფლების მიერ დაშვებული მსგავსი უხეში შეცდომები ნებისმიერი ოპოზიციის გააქტიურება-დარაზმვის საბაბი გახდებოდა. სოციალურ საკითხებში ხელისუფლების ტლანქი ნაბიჯები ოპოზიციისათვის დიდი ქულების დაგროვების საწინდარი იქნებოდა. არაპოპულარული გადაწყვეტილებები, ნებისმიერ ქვეყანაში, სახალხო გამოსვლებს გამოიწვევდა. საქართველოში ამას ადგილი არა აქვს. ყველა უკმაყოფილოა, რის შესახებაც ხმამაღლა ლაპარაკობენ ქუჩაში, ტრანსპორტში, საჯარო ღონისძიებებზე, მაგრამ მიტინგებზე ხალხი არ მიდის. ერთხელ პრეზიდენტმა ბრძანა, ეს ის რაოდენობა არ არის, ანგარიში რომ გაეწიოსო. მაშინ პარლამენტის წინ 7.000-ზე მეტი მომიტინგე იყო შეკრებილი.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ოპოზიციას ადანაშაულებს უმოქმედობაში, დაქსაქსულობაში, პირველობისათვის ბრძოლაში. არის მოწოდებები ოპოზიციის გაერთიანებისკენ. საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაოდენობას ვინ მოთვლის. აქედან, ათზე მეტი, ძალაუფლებისათვის იბრძვის. ყოველ მათგანს საკუთარი აზრები და იდეები უნიკალური და საუკეთესო ჰგონია. მათი გაერთიანება შეუძლებელია და ალბათ არც არის აუცილებელი. უპრიანი იქნებოდა, მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, კოორდინირებული მოქმედება და არა ისეთი, რასაც ამას წინათ ჰქონდა ადგილი — ნათელაშვილი მოსახლეობას პროტესტის ნიშნად სახლში დარჩენას მოუწოდებდა, ხოლო ბალათურია ქუჩაში გამოსვლას. და როდესაც ასეთ გაუგებრობას აქვს ადგილი, გასაკვირი არაფერია თუ ოპოზიციას ხალხის ის რაოდენობა არ გაჰყვება, რაც საჭიროა დიდი საქმეების კეთებისთვის. მოსახლეობის დიდ ნაწილს არც ოპოზიციის გაცვეთილი ლიდერები ხიბლავთ, რომელთა მოქმედება უფრო პოპულიზმისათვის არის, ვიდრე სერიოზული საქმისთვის.

და კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო რამ. ოპოზიცია აკრიტიკებს ხელისუფლებას, მაგრამ თვითონ არაფერს სთავაზობს ხალხს. ოპოზიცია არ აკეთებს საშინაო დავალებას, ანუ მას არ გააჩნია დარგების და საკითხების მიხედვით მომზადებული ალტერნატიული პროექტები: ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, საგარეო პოლიტიკის, მართლმსაჯულების, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური სფეროს და სხვა მიმართულებით. ამის გაკეთებას დღეს არსებული ოპოზიციური პარტიების ნაკლებად პროფესიონალური შემადგენლობა ვერ შეძლებს. პროფესიონალიზმისადმი დამოკიდებულება აქილევსის ქუსლია, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციისათვის. პროფესიონალები ორივეს ჭირის დღესავით ეზიზღებათ.

პროფესიონალიზმის სიმწირეზე მეტყველებს ლეიბორისტთა წარმომადგენლის განცხადება ირანის მიერ დატყვევებული ბრიტანელი მეზღვაურების გათავისუფლების თაობაზე. ბრიფინგზე ქართველმა ლეიბორისტმა ისე გამოიყვანა, თითქოს მისი პარტიის ლიდერის თხოვნას მოჰყვა მეზღვაურების გათავისუფლება.

პრიმიტიული რევოლუციების დრო ისტორიას ჩაბარდა. საქმის გასაკეთებლად დაძაბული და მიზანმიმართული შრომაა საჭირო და არა ტელეეკრანზე კეკლუცობა. ოპოზიციამ ისიც ვერ მოახერხა, რომ მიტინგებზე ერთად ყოფილიყვნენ. ქუჩის მიტინგებში მონაწილეობას არ ლებულობს საპარლამენტო „ოპოზიცია“, რევოლუციური გზა მისთვის და მისი ვაშინგტონელი დამრიგებლებისთვის მიუღებელია. დამრიგებლებს ნაკლებად აძლევთ ხელს დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა. ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს აკეთებს დამრიგებელთა საამებლად, რატომ უნდა შეიცვალოს? მერე რა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები მოიკოჭლებს? ასეთივე სურათია კერძო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით. მძიმეა სოციალურ-ეკონომიკური ატმოსფერო და სხვა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქვეყანას, მასწავლებლის მიმართ, ლოიალურად განწყობილი მთავრობა ჰყავს.



შექმნილი ვითარება აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ცხოვრებას წააგავს. დასავლეთში მხოლოდ იმ აფრიკული ქვეყნების ლიდერებს აკრიტიკებენ, მაგალითად ზიმბაბვეს პრეზიდენტს, რომლებიც არამეგობრულად არიან განწყობილი დასავლეთისადმი. დანარჩენები, მიუხედავად მაღალი კორუფციისა და არადემოკრატიული მართვისა, შესანიშნავად გრძნობენ თავს და დიდ ფინანსურ დახმარებასაც იღებენ დასავლეთიდან.

ქართველ პოლიტიკოსებს, როდესაც სხვა ქვეყნების არადემოკრატიულობაზე ლაპარაკობენ, ხშირად მოჰყავთ ლათინური ამერიკის მაგალითები, თუმცა არჩევნებთან მიმართებაში ლათინურმა ამერიკამ გიგანტური დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა. კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა ის არადემოკრატიულობა, რაშიც ქართველი პოლიტიკოს-პოლიტოლოგები ლათინურ ამერიკას ადანაშაულებენ. დემოკრატიულობის გამომხატველი იყო ბოლო დროს ნიკარაგუაში, ჩილეში, ეკვადორში, ბოლივიაში, მექსიკაში, ბრაზილიაში, ვენესუელაში ჩატარებული არჩევნები. მსგავსი რამ საქართველოში კიდევ კარგა ხანს არ მოხდება.

და ისევ ჩვენი პრობლემები, ვაშინგტონის მიერ „ოპოზიციად“ გამწესებულებს თავისი ადგილი აქვთ. მათ უნდა აკრიტიკონ ხელისუფლება, რათა დემოკრატიულობის მოჩვენებითობა შექმნან.

პარლამენტსგარეთ არსებული პარტიები რევოლუციური ლოზუნგებით გამოირჩევიან. ბევრი მათგანისათვის სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ განუხორციელებელი ისეთი მოწოდებები, როგორებიცაა — მთელი საქართველო მიტინგზე. მიტინგი გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ შეიცვლება ხელისუფლება.

ისიც აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო სუსტია ოპოზიციის ლიდერი, სხვის მოსაჩვენებლად მას თავი მოჭარბებულად დაჯერებულად მოაქვს. რასაც ვერ ვიტყვით დაშინებულ, ქანცგაწყვეტილ, სხვისი ჭირი ლობეს ჩხირის სენით დაავადებულ საზოგადოებაზე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
*პოლიტოლოგი.*

● თბილისსა და სოხუმს შორის დაძაბულობის ახალი სპირალი იხლართება — ამჯერად ტყვეთა გაცვლის ნიადაგზე



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის კომენტარი

საქართველოს ხელმძღვანელობის კონტაქტები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მარიონეტულ ორგანოებთან შეუთავსებელია სოხუმთან და ცხინვალთან უშუალო დიალოგის წარმართვის იმ კურსთან, რომელსაც ქართული მხარე აცხადებს. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხეილ კამინინმა ასეთი კომენტარი გაუკეთა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების მიერ 21 აპრილს გაკეთებულ ერთობლივ განცხადებას. შეგახსენებთ, ამ თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ისინი იძულებული გახდებიან ოფიციალურად თქვან უარი თბილისთან მოლაპარაკებაზე, თუ ქართული მხარე არ შეწყვეტს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში მის მიერ შექმნილი მარიონეტული მთავრობების ლეგიტიმიზაციის მცდელობას. გარდა ამისა, თვითაღიარებული რესპუბლიკების ლიდერებმა არაორაზროვნად აღნიშნეს, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში საბოლოოდ მოისპობა კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პერსპექტივა, რადგან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თავიანთ მომავალს „სულ სხვა განზომილებაში ხედავენ“.

კამინინის აზრით, ამ ორი ლიდერის განცხადება არის სერიოზული გაფრთხილება იმათთვის, ვინც ცდილობს სამშვიდობო მოწესრიგების პროცესი შეცვალოს სიტუაციის დესტაბილიზაციით, პროვოკაციული გზით გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა კონფლიქტების ზონაში.

„ჩვენი აზრით, აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს სრული უფლება აქვთ, რომ ასეთი მოქმედება მიიჩნიონ კონფლიქტების მონაწილე მხარეთა არა შერიგების, არამედ მათ შორის შემდგომი ანტაგონიზმის გაღვივების მცდელობად. როცა ქმნის მარიონეტულ რეჟიმებთან „კონსტრუქციული დიალოგის“ დამყარების ილუზიას, საქართველოს ხელმძღვანელობა რისკავს, რომ შეიძლება შეურყიოს საფუძველი მოლაპარაკებას იმათთან, ვინც რეალურად გამოხატავს ამ ორი ხალხის ინტერესებს; გამოუთხაროს ძირი მოლაპარაკების პროცესს, რომელსაც პერსპექტივაში შეიძლება მოჰყოლოდა ამ ორი რეგიონის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა“, — მიაჩნია კამინინს.

„რაც შეეხება საქართველოს დაჩქარებულ მზადებას ნატოში გაწევრებისთვის მაშინ, როცა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობს მოუგვარებელი კონფლიქტები, ეს, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტად უთხრის ძირს მოლაპარაკების პროცესს და თვით ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, — აღნიშნა რუსმა დიპლომატმა. — თუ მოლაპარაკების მიღწევის პერსპექტივები საბოლოოდ ამოიწურება, ამისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას, ისე ვაშინგტონელ და ბრიუსელელ სტრატეგებსაც, რომლებიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ აქეზებენ თბილისის არაშორსმჭვრეტელ პოლიტიკას. რუსეთი მხარს უჭერს მოლაპარაკების გაგრძელებისთვის საჭირო პირობების შენარჩუნებას. იმედი გვაქვს, საქართველოში შეიგნებენ, რომ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოწესრიგებისთვის სხვა გზა არ არსებობს“.

РОСБАЛТ

# საქართველომ, შესაძლოა, რუსეთის ფედერაციასთან მიღწეული შეთანხმება გადასინჯოს

**საქართველო გადასინჯავს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენასა და ლტოლვილების დაბრუნების საქმეში ურთიერთმოქმედების შესახებ, თუ რუსეთი კვლავაც განაგრძობს ცხინვალის რეგიონში ცალმხრივი მოქმედების პრაქტიკას. ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა 24 აპრილს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მინისტრი მერაბ ანთაძე თბილისში შეხვდა რუსეთის ფედერაციის საუწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს.**



რუსეთის სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწე გენადი ბუკაევი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე იური პოპოვი, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური განვითარების სამინისტროს, აგრეთვე განათლების, მშენებლობისა და გზათა მშენებლობის სფეროების პასუხისმგებელი მუშაკები. თბილისში მათ გამართეს კონსულტაციები 2000 წლის 23 დეკემბრის რუსეთ-საქართველოს შეთანხმების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე. 25-26 აპრილს ჯგუფი ეწვევა სამხრეთ ოსეთს, სადაც შეამოწმებს კონფლიქტის ზონაში იმ სოციალურ-ეკონომიკური ობიექტების მშენებლობის პროექტების განხორციელებას, რომელთა დასაფინანსებლადაც რუსეთის მხარემ გამოყო 3 მილიონი ევრო. საქმე სულ 7 პროექტს ეხება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას რუსეთის მხარე იყენებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში „თავისი ცალმხრივი მოქმედების გამართლების მიზნით“. და მაინც, „ქართული მხარე კიდევ ერთხელ სთავაზობს რუსეთს მჭიდრო თანამშრომლობას ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის გამიზნული ეუთოს დონორთა პროგრამის ფორმატით, რომელსაც, სხვა უპირატესობათა გარდა, გამოყოფილი სახსრების ხარჯვის გაკონტროლების გამჭვირვალე მექანიზმიც აქვს“.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციის დელეგაციასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მერაბ ანთაძემ საჯაროდ გამოთქვა რუსეთის მისამართით ქართული მხარის პრეტენზიები. კერძოდ, საქმე ეხება რუსული მხარის არალეგალურ საქმიანობას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში: სამხრეთ ოსეთში ელექტროენერგიის მიწოდებას და ბუნებრივი გაზის მიწოდებისათვის მზადებას. „მთელი ის მოქმედება, რომელსაც რუსული მხარე ახორციელებს ცხინვალის რეგიონში ჩვენთან შეუთანხმებლად, კატეგორიულად მიუღებელია“, — განაცხადა მან. „თუ რუსეთს სურს უშუალო მონაწილეობა პროექტებში, ისინი მან დეტალურად უნდა შეუთანხმოს ქართულ მხარეს“, — დასძინა მერაბ ანთაძემ.

РОСБАЛТ

# ტყვეთა გაცვლა

**თბილისსა და სოხუმს შორის დაძაბულობის ახალი სპირალი იხლართება — ამჯერად ტყვეთა გაცვლის ნიადაგზე. დაძაბულობის ამ ახალ ეტაპს საფუძვლად დაედო ქალაქ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აფხაზეთის გალის რაიონის სოფელ ბარღების ადმინისტრაციის უფროსის ფრიდონ ჩაკაბერიას პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. მას მისჯილი ჰქონდა 10 წლის პატიმრობა „ნარკოტიკების შენახვისა და სხვა დანაშაულობათა ჩადენის გამო“. ორშაბათს სასამართლომ შეცვალა აღკვეთის ღონისძიება და ჩაკაბერიას 5 წლის პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. ამის შემდეგ იგი პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს.**

სოხუმში ეს მოვლენა ასე განმარტეს: ჩაკაბერიას წინააღმდეგ აღძრული საქმე შეთითხნილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სასჯელის სრული ვადით მოხდა მოუწევდა. ასეთი მოსაზრება გამოთქვა თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ლეონიდ ლაკერბაიამ.

ამავე დროს, შოთა მალაშხია, რომელიც პარლამენტში თავმჯდომარეობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიას ამტკიცებს, რომ აფხაზი სახელმწიფო მოხელის გათავისუფლება უკავშირდება იმ ქართველი სტუდენტების სასამართლო პროცესს, რომელიც აფხაზეთში უნდა დაიწყოს. როგორც მალაშხიამ განაცხადა, ჩაკაბერიას საქმის გადასინჯვის პასუხად თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნდა გაათავისუფლოს ახალგაზრდები, რომლებსაც ბრალად ედებათ საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის დარღვევა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავისებური კეთილი ნების ჟესტია, რაც ხაზგასმულია კიდეც კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებაში: „ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ ამ ნაბიჯს მოჰყვება გალში პოლიტიკური მოტივებით დაკავებული სტუდენტების უპირობო გათავისუფლება, რაც დადებითად აისახება სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესზე“.

მაგრამ აფხაზეთში დაკავებულებს უდანაშაულოდ არ მიიჩნევენ, რადგან რეგიონში საპარლამენტო არჩევნების წინ ამ ახალგაზრდებმა მდინარე ენგურის ხიდზე გამართეს ნილზებიანი შოუ. ისინი ასაღებდნენ თავს ადგილობრივ მცხოვრებლებად, რომლებსაც თითქოს ძალის დატანებით აიძულებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. მთელ ამ სპექტაკლს ტელეკამერებით იღებდნენ საქართველოს მხრიდან, მდინარე ენგურის მეორე ნაპირიდან. მაგრამ ამ თვითმოქმედ მსახიობებს არ გაუმართლათ: ისინი აფხაზმა მილიციელებმა დააკავეს, და მაშინ გაირკვა, რომ ნილზოსნები ქართველი სტუდენტები ყოფილან. ამ ახალგაზრდების ასეთ ხუმრობას (ან პროვოკაციას) შეიძლება სერიოზული შედეგები არცკი მოჰყოლოდა, წინა დღით ორი აფხაზი მოხელე — ჩაკაბერია და სიგუა რომ არ დაეკავებინათ. გალის რაიონის ადმინისტრაციის განყოფილების გამგე დავით სიგუა გაიტაცეს თავისი სახლიდან. გალის რაიონში აფხაზეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის რუსლან ქიშმარიას თქმით, იგი საქართველოს ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

ჩვენთან საუბრისას ქიშმარიამ ყოველივე ეს ასე განმარტა: „ჩვენთან სასჯელს იხდიდა საქართველოს მოქალაქე ლევან მამასახლისი, რომელსაც ტერორიზმის გამო 14 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. კეთილი ნების ჟესტის სახით ჩვენ იგი გადავეცით ქართულ მხარეს, და განვაცხადეთ, რომ ქართულ მხარესაც თუ სურს გადმოდგას საპასუხო ნაბიჯი, მან უნდა გადმოგვცეს ჩაკაბერია. მაგრამ ახლა ჩაკაბერია გაათავისუფლეს არა საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნების გამო, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებით. რაც შეეხება ქართველ სტუდენტებს, რომლებიც მარტში დავაკავეთ, ჩვენ მართლაც გვსურდა მათი გაცვლა, მაგრამ სულ სხვა ადამიანზე — დავით სიგუაზე“.

**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ газета

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

# გულთა კავშირი

განგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავილულუნო
მამაპაპური ვარადა.

Иаххылаҧшхәу, лахь сумҭан,
Сыжәлар рзыхәан ҧсахрада
Сыҟазаарцы иахьысхәало,
Сабацәа рашәа, уарада.

## ◉ ერთიანი სამშობლოს გუშაგი

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითმა კავშირმა ორ ტომად გამოსცა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის გიორგი შარვაშიძის თხზულებანი (შემდგენელ-რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე, სარედაქციო კოლეგია — ალექსანდრე აპლაკოვი, გენო კალანდია, გურამ ოდიშარია, სვეტლანა ქეცბა, ჯანო ჯანელიძე). სარედაქციო კოლეგია დიდ მადლობას უხდის ბ-ნ ირაკლი ალასანიას და ბ-ნ მალხაზ აკიშბაიას გიორგი შარვაშიძის ორტომეულის გამოცემის საქმეში თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მე-19-მე-20 საუკუნეთა ამ უდავოდ გამორჩეული მოღვაწისა და მწერლის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი პირველი ცდა (პოეზია, დრამატურგია, პუბლიცისტიკა).

გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის გაზრდილი სწორედ ის კარგი მოყმე იყო, რომელსაც ღრმად სწამდა უსაქართველოდ დარჩენილი აფხაზეთის მკერდმოჭრილი ამორძალობა.

საქართველოსა და აფხაზეთის შემაერთებელ-შემაკავშირებელი და ისტორიული ერთიანობის უფრო მეტად მასულდგმულებელი მარად ცოცხალი მაგალითი, ვიდრე გიორგი შარვაშიძეა, ნამდვილად წარმოუდგენელია.

პოეტ მამია გურიელის თქმისა არ იყოს, ეს შოთა რუსთაველის აღნაგობის ვაჟკაცი დღესაც თავისი ერთიანი სამშობლოს ფხიზელ გუშაგად დგას და აფხაზ-ქართველთ კვლავაც ჭეშმარიტი სიყვარულისკენ მოგვიწოდებს, ურომლისოდაც მხოლოდ ჩვენთა არაკეთილისმყოფელთა საბედისწერო ბადეში ვიქცევთ თავს.

დღეს გიორგი შარვაშიძე თავისი ქართულ-აფხაზურ-რუსულენოვანი ორტომეულით ჩვენი მკითხველის სტუმარია.

> *ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო,*
> *ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ.*
>
> *შოთა ნიშნიანიძე*







რიალდა ერის არსებობა, შემოსული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი რენტა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვით-არსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ღონეშეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში!

ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა ხელთგულდაკრეფილი იდგა საფლავებზე თავის დავიწყე-

სათვის. ე.ი. 1ძ ყოველი გლეხკაცის ოჯახს უნდა ჰქონდეს საკუთრებად არანაკლებ 20-25 დღიურისა; 2ძ სამუშაო პირუტყვი; 3ძ სახლ-კარი, სუფთად და მაგრად ნაშენი; 4ძ ოჯახის სამკაული ყოველი; ორი, ან სამი მეწველი ძროხა, ცხენი და უნაგირი.

ჩვენ გვეგონა ეს იქნება, ჯერჯერობით სამართლიანი გადაწყვეტა ამ საკითხისა. ხოლო მამულებისა მთლიანად ჩამორთმევა, — კონფისკაცია, — შეუძლებელ აქტად უნდა ვაღიაროთ შემდეგი ორი მიზეზის გამო: პირველი ისა, რომ ყოველს გარეშე რესპუბლიკებშიაც არსებობენ მიწათმესაკუთრეები და წართმევა აღიარებულია განათლებულ ქვეყნებში როგორც აქტი.

მეორე მიზეზიც ეს გახლავთ, რომ თუ კი კონფისკაციის პრინციპს მიუშვებთ, რატომ ფაბრიკებს, დიდს ქარხნებს არ ჩამოართმევთ პატრონებს, რათა გადაეცეს იმ მუშა ხალხს, რომელიც დღითი დღე ოფლისა და ცრემლის ღვრით აწარმოებს იმ ქარხნებს და, ნაწარმოები კი, აუარებელი ოქრო ელაგება უბეში პატრონს, ყოვლად უსასჯელოთ?

ჩვენის აზრით, ეს საკითხი ათჯერ უფრო მწვავეა, ვინემ მიწათუფლება. ქალაქისა და ქარხნის მუშას არ შეუძლია ერთი დღეც გაუშვას უმუშაოდ; შიმშილი მოადგება კარზე. მუშები 8 საათის შრომის უფლებას თხოულობენ და ამაზედაც ევაჭრებიან პატრონნი და არა რცხვენიათ! საკვირველი ისაა, რომ ყოველი ქვეყნის მთავრობა ეხმარება უფრო ხშირად პატრონებს. მუშები თუ გაიფიცნენ, მთავრობა აიძულებს, ძალას ატანს, რომ დაადგეს სამუშაოს. მიწის მუშას კი, გლეხ-კაცს, ასეთი სასტიკი ვინაობა მაინც არ ადგია. — მაშასადამე, პირველ თავში, ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვს, რომ ქარხნებისა და დღიური მუშების საქმე გასწორდეს უწინარეს ყოვლისა. ამის რეცეპტიც გამოიკვლევა, უეჭველია, ოღონდ ყოველ საქმეში საჭირო არიან კაცები, რომელნიც მიუდგომლად განიხილავენ საკითხს. ახლა არსდება კიდეც ქარხნებში მუშათა კომიტეტები და ვნახავთ, როგორ წაიყვანენ საქმეებს. ერთი ძირითადი მძიმე ტვირთი აულიათ მუშების მეთაურებს; ეს გახლავთ მარქსის მრწამსი. დიდათ მეცნიერს ეკონომისტს, ვითარცა კაბინეტის კაცს, ვერ წარმოუდგენია, რომ სანამ „პროლეტარნი მთელის ქვეყნისა შეერთდებოდნენ“, უმაღლესი ხარისხის მოწოდებამ, მოვალეობამ სამშობლოისამ დამონებისაგან გამოიყვანა რვა მილიონი იგივე პროლეტარიატი, ხიშტებით ერთი მეორეზე.

# გიორგი საქართველოა, შარვაშიძე — აფხაზეთი, მაგრამ ორივე ერთი ქვეყნის გვარ-სახელია...

## გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორ ტომად გამოცემის გამო

### ჩემი ჩანგი

... თუმცა ჩემს გულს
გარს ესევა
შხამ-ნაღველის,
სევდის ქარი,
და შიგ რეკავს სავალალოდ,
ცრემლ-საფრქვევად
გლოვის ზარი;
მარა მე ხომ ჩემს
კერძო დარდს,
ჩემს ვარამს და
ჩემს ტკივილებს
საერთოდ ხომ
ვერ ჩამოვკრავ
ჩემს საქვეყნო
ჩანგის სიმებს!..
თუმც ხანდახან სიხარული
ჩემს გულშიაც გაიელვებს
და დროებით გამიფანტავს
იქ დაბუდულ მწარე სევდებს;
მარა ჩემს ქნარს მას
ვერ დავმღერ,
რაც მე კერძოდ შემეხება!
იმის სიმნი, იმის ჰანგი
ერისთვის არ დაიკვრება!..
მარა როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება,
მიწას ალბობს
უმართლობით
დანადენი მდუღარება,
როცა მესმის მისი კვნესა,
სულის მქენჯი,
გულის მდაგი, —
მაშინ მხოლოდ,
მხოლოდ მაშინ
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!

გიორგი შარვაშიძე

ვარადა

განგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავილულუნო
მამაპაპური ვარადა.

იგი ლულუნი-სიმღერა
არ არის გასახარადა,
ის არის მძიმე მოთხრობა
გულისა სატკივარადა.

ისა ჰგავს დედის საფლავზედ
ობლისა მოთქმას მწარადა,
კვნესის და კვნესის, ქვითინებს
მტირალის ჩუილის გვარადა.

უამბობს თუ ვითა ცხოვრება
ათასის წლისა წყნარადა
ერთბაშად, ერთის მობერვით
სულ წარხვეტილა ქარადა!

ზოგჯერ გიჟურად შეჰკივლებს
ბედისა სამუქარადა,
ეტყვის: მარტოკა დამაგდე
ნაწყვეტად, ნაოხარადა;

მიკვირს საწუთროს ვნებანი
ვის ჰეხვრიან, ვის სახმარადა,
და მსგავსსა ბოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!

განგებავ! გევედრებ ნუ მიწყენ,
თუ რომ შეგწყინე მარადა,
ხანდისხან დავილულუნო
ვაი და ვაი ვარადა!

ГЬАРГЬ ШАРВАШИЗЕ

УАРАДА

Иаххылаҧшхәу, лахь сумҭан,
Сыжәлар рзыхәан ҧсахрада
Сыҟазаарцы иахьысхәало,
Сабацәа рашәа, уарада.

Бжьы-талала нансырҕызуа,
Исхарит гәырҕьа-ҷҷарада.
Ари ашәа гәаҟ ажәабжьуп,
Игуҭшьаагоуп, уарада.

Абри шьҭеиҧшу, аиатым хьыҷ
Иҭыҵуара ауенмада.
Иаҵ лзыхәа лаҕырҿашак
Ашьҭахьтәи лыжәырта.

Исанахәоит: аҧстазара
Зқьы шықәсала еилшәарада,
Ҭынч ишаануаз ҧшак нагзашәа,
Ишыбжьазыз хьахарада.

Знызы сразҟы нақәмакаруа,
Итәаапәаауент цышьарада.
— Сразҟы, сразҟы, скьаҧҭажәумтәын,
Сара еиыда-гәарада!

Аҧстазара атагәтаера,
Цьоук ыҟәнахәоит харада.
Ажәван абри гәанамҭозар,
Нас ацәгьара збартада.

Иаххылаҧшхуу, лахь сумҭан,
Ас сахьашшуа чҷарада,
Уа, зны-зныла иаасырҕызлап,
Уарада-гәышьа, уарада!

## სოციალიზმი და საქართველო

... მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვეზნა ბუნებრივი ევოლუციის შაბული, დამარხული დიდებისა, დღეს უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა!

დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკივლა ვაშა ვაშა!.. მაგრამ მოისმის მეორე ხმა: ჩვენ არა გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას, ხალხი ქვეყნიერებისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხოლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთეშელავათი. ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურიგდეს მიწათმუშებს, ძირს წოდება და მიწათპატრონობა და სხვ...

აგრე, — სოფლურ ანგარიშზე ჩამოქვეითდა ბრწყინვალე მზე ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა!!

კაი და კეთილი, მაგრამ, ეს ხომ მაინც სოციალიზმი არ იქნება? ეს იქნება ტყვილა წართმევა საკუთრებისა. გნებავთ, დავამშვენოთ

> *„ვაჰმე, სად არი ქართველი ძველის ძველიდან ქებული!*
> *ყაყანი, ლანძღვა, ჭორები, შუღლიანობით სნეული,*
> *კალმის და ხანჯლის ტრიალი, ორივე დაჩლუნგებული,*
> *ძმა ძმასა დამტერებული, მტერი კი დამოყვრებული“.*
>
> *გიორგი შარვაშიძე*

რა და კანონი. დიალ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ ილბალის უკულმართობას რითიმე ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში...

მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ-დავიდარაბით მივიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა!

შემდეგ კი, უკუღმართად დატუფრო განათლებული ტერმინით, დაერქმევა: „ექსპროპრიაცია“, მაგრამ მაინც ეს არ ვარგა!...

ყოველი სინდისიერი საზოგადოება, რომელსაც თავისი ქვეყანა უყვარს, თავისი ქვეყნის ხალხიც ეყვარება, ერთი უმეოროდ არ შეიძლება! და ამისთვის უეჭველია იმ აზრის, იმ რწმენის იქნებიან ყველანი, გარდა ერთი-ორი მახინჯისა, რომ ხალხი უსათუოდ უზრუნველჰყოს, სიღარიბეს და გაჭირვებას არ განიცდიდეს! ამისათვის უსათუოდ საჭიროა, რომ სახელმწიფომ მიწათმფლობელს, მიწის მუშისათვის, იმდენი მიწა დაათმობინოს, რამდენიც მისთვის საჭიროა ულარიბოთ ცხოვრები-

იხ. 12 გვ.

№ 79. ხუთშაბათი, 26 ივლისი, 2007 წელი.

# გულთა კავშირი

„ისტორიულად აფხაზეთი წარმოადგენ-და საქართველოს სამეფოს ნაწილს... აფხაზები იყვნენ და არიან მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრები და საკუთარ თავს თვლიდნენ ქართული ეკლესიის მრევლად“

**ერთიანი სამშობლოს გუშაგი**

## გიორგი საქართველოა, შარვაშიძე – აფხაზეთი, მაგრამ ორივე ერთი ქვეყნის გვარ-სახელია...

**(მეთერთმეტე გვერდიდან)**

*პროლეტართა მესვეურნი ეგებ გაიგებენ, აწი მაინც, რომ თეორიით ცხოვრება უნიადაგო ოცნებად ხდება.*

*ერთი რამ რწმუნება, რომელიც გამეფდა მთელ მსოფლიოში, უშლის კიდევ მუშათა საკითხს და წესიერებას. ეს არის მრეწველობის ფსიხოზი. ასე ჰგონიათ, თუ კომერცია, მრეწველობა შემცირდება, ქვეყანა დაიღუპება.*

*მართალია, იყო ისეთი დრო, როდესაც ინდუსტრიის გაფართოება ძლიერ ხელს უწყობდა ცივილიზაციას; მაგრამ მას მერე ამ ნაწილმა შემოქმედებისამ ერთობ კანონმდებელი უფლებანი მიითვისა! ერთის მხრით, მსოფლიო პოლიტიკა მან დაიმორჩილა და მეორესი კი, მილიონები მუშა ხალხი ჩაუდგა რკინის ტოტში, გადაუქცევია ყმად, ისე, რომ სულის მოთქმა არა აქვს!*

*მიუხედავად ამისა, სოფლის ხალხი კიდევ სტოვებს თავის მიწა-წყალს და გარბის ქალაქებში სამუშაოდ. ს.დბის თეორიით ეს კარგი ნიშანია, ვინაიდან ემატება შემდეგში პროლეტარიის ლაშქარს, რომელმაც ქვეყნის დიდება იერიშით უნდა აიღოს!“.*

*ზემოთაც ვთქვით, რომ ეს არის განყენებული თეორია, რომლის აღსრულებას იმდენი სხვადასხვა ეკონომიური ხლართი ულობავს გზას, რომ მანამდის მთელის ქვეყნის კაცობრიობას შეიძლება მოშივდეს, რადგანაც მრეწველნი მიწისა, საზრდოს პურის გამჩენნი, – მცირდებიან და მჭამელებს კი ემატებათ. მაგ. ინგლისში, მცხოვრებთაგან 75 პროცენტი ქალაქის მცხოვრებია. ამათში – მუშებიცა და სხვადასხვა ხელობის პროფესიისანი. ასე რომ 25 კაცი, საზრდოს აძლევს 100 კაცს. ეს რიგი გერმანიაში 60 პროცენტია, საფრანგეთში 55 და სხვა.*

*ასეთი ეკონომიური შეცვლა სულ თანდათან ვითარდება და ახლა, ჩვენ დროშიაც იქამდის არის მისული, რომ დასავლეთის ევროპას თავისი მოსავალი ხორბალი ვერ ასაზრდოებს და გააქვთ მრავალი მილ. ფუთი რუსეთიდან და ამერიკიდან. ხოლო ეს ქვეყნებიც უნებლიეთაც მიჰყვებიან ამ ზემოთ ხსენებული ევოლუციის პროცესს და, ხომ შესაძლებელია მივაღწიოთ იქამდის, რომ საყიდელი პურიც აღარ იქნება არსად საკმარისად? მაშინ რაღა? წარმოვიდგინოთ, რომ მაშინ დადგება ის ხანა, როცა მუშა ხალხი დაისაკუთრებს სხვა კლასების სიმდიდრეს! მაშინ სულ უბრძოლველადაც პატრონნი მიაწოდებენ ოქროვერცხლს ვისაც ნებავს, ვინაიდან ამათ ფასი ექნებათ დაკარგული, ოქრო ვის რად უნდათ, თუ პურს ვერ იყიდიან?*

*რა თქმა უნდა, მე მოგახსენებთ მხოლოდ იმ უკიდურეს მოფიქრებას, რომელიც შეუძლებელი არ არის მოევლინოს ქვეყანას. ესეც ჯერ არს, გავითვალისწინოთ, რომ ეს პროცესი ვითარდება ხელგაყრილათ ერთად პროლეტარიის ზრდა-გამრავლებასთან.*

*აი, ეს გახლავთ ის მწვავე, ურთიერთ კაცთა შორის გვაჯიაობა-მტრობა, რომელიც გარეშე ქვეყნებიდან მიბაძვით ჩამოლაგდა ჩვენშიდაც. ჩვენ დავვიგდია ღმერთკაცისა მცნება, რომელიც გვასწავლებდა ნამდვილ ძმობას, ერთობას და სიყვარულს. ეს იყო გზა იმ სოციალიზმისა, რომელიც მოპოვებული იქმნებოდა თვითნიერებითა და სათნოებით. განვაგდეთ ეს მცნება და შევუდექით იმ გზას, რომელსაც ვამართლებთ ვითომ მეცნიერული აფორიზმებით „ბრძოლა არსებობისათვის“. ეგ არის თვისება პრიმიტიული კაცობრიობისა, რომელიც უნდა დაზუსტდეს, შესდგეს და კიდეც გაჰქრეს. მაშინ იქნება გამარჯვება ცივილიზაციისა, რომლის დანიშნულებაც თავად ის გახლავთ, რომ ბრძოლა შეიცვალოს შეგნებად და სათნოებად.*

*განდევნილი უნდა იქნეს ყოველი წრიდან, ყოველი მიმართულებიდან Quodes puem dovoret (რომელი რომელს შესჭამს – ლათ.) ვითარცა ავაზაკური თვისება გონებისა.*

**გიორგი შარვაშიძე**
გაზეთი „საქართველო“,
№ 137-140, 1917 წ.

*„ისტორიულად აფხაზეთი წარმოადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს, ხოლო შემდეგ, როდესაც ეს სამეფო დაიშალა, აფხაზეთის ერისთავმა, შარვაშიძემ, დამოუკიდებლად დაიწყო სამთავროს მართვა. ასე გაგრძელდა 1810 წლამდე, როდესაც აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარმა ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და სხვა სამთავროების მაგალითისამებრ, თავისი ხალხის თანხმობით, მიმართა რუსეთის სახელმწიფოს თხოვნით, გარკვეული პირობების საფუძველზე აფხაზეთი მიელო თავის მფარველობაში...*

*აფხაზები იყვნენ და არიან მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრები და საკუთარ თავს თვლიდნენ ქართული ეკლესიის მრევლად“.*

*გიორგი შარვაშიძე*
*გაზეთი „Закавказье“, 1910 წ.*



დახურული ქოლგები. ელდარ ქავშბაია



**ჩემპიონთა ლიგა**

## კაკაფონიის ჩაზშობა

**„მანჩესტერ“ – „მილანის“ პირველ ნახევარფინალურ მატჩს მთელი რიგი სპეციალისტები დაუვიწყარ სანახაობას უწინასწარმეტყველებდნენ. გულშემატკივართა გასახარად, მათი პროგნოზები გამართლდა – „ოლდ ტრაფორდზე“ დადგმულ სპექტაკლს მიმდინარე გათამაშებაში ძნელია მოუძებნო ანალოგი.**

სამშაბათის რაუნდი, პირობითად, ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ – შესვენებამდე სოლისტობა კაკამ ითავა და შთამბეჭდავადაც. ბრაზილიელის „დუბლი“, მის უზადო ოსტატობასთან ერთად, მასპინძელთა რეზერვისტი მცველების დამსახურებაცაა, რომლებმაც სრულფასოვნად ვერ შეცვალეს ტრავმირებული ნევილი, ვიდიჩი, ფერდინანდი და სილვესტრი. რაც შეეხება მეორე ტაიმს, იგი უკვე რონალდუსა და რუნის ბენეფისად იქცა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაჯეჯილებაში მათ ხელი მინდვრიდან დაშავებული მალდინისა და გატუზოს გასვლამ შეუწყო. იტალიელებმა მაღლიერება ახალგამოჯანმრთელებულ მეკარე დიდას მიმართ უნდა გამოხატონ, რომელმაც პარტნიორები რამდენჯერმე იხსნა.

დავძენთ, რომ საბოლოო შედეგი – 3:2 ფინალში გასვლის დიდებულ შანსს „როსონერის“ უტოვებს. ვიმედოვნებთ, ამ საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შანსი კახი კალაძესაც მიეცემა, რომელიც მანჩესტერული ბრძოლის ველზე საერთოდ არ გამოჩენილა.

**ორბიტაზე**

## უეფას თასზე ნახევარფინალებია

**დღეს გაიმართება უეფას თასის ნახევარფინალური მატჩები, რომელშიც სამი ესპანური და ერთი გერმანული გუნდები მონაწილეობენ.**

**„ესპანიოლი“ – „ვერდერის“** შეხვედრის გაძღოლა დაევალა 40 წლის ნორვეგიელს **ტომ ჰენონგ ევრებეს,** ხოლო ესპანური დერბის **„ოსასუნა“ – „სევილიას“** უმსაჯებს 40 წლის ჰოლანდიელი **ერიკ ბრამაჰერი.**

## შეხვდნენ როგორც გმირს



**ასი ათასზე მეტმა გულშემატკივარმა გაავსო ტაშკენტის ცენტრალური მოედანი, რათა ზეიმით შეხვედროდნენ სამშობლოში დაბრუნებულ თანამემამულე რუსლან ჩაგაევს, თითქოსდა უძლეველი რუსეთელი ნიკოლოზ ვალუევი რომ დაამარცხა და WBA ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ის კორტეჟის თანხლებით აეროპორტიდან უზბეკეთის პრეზიდენტის სასახლემდე მიაცილეს.**

**შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულებაში (დამტკიცებულია პარტნიორთა 2003 წლის 7 ოქტომბრის №2 კრების ოქმით და გამოქვეყნებულია 21.10.2003 წლის გაზეთ „თბილისში“ძ შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:**

1. 4.6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქონებრივ დავებზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს 100 000 ლარამდე დავის საგნის შემთხვევაში სადავო საგნის ღირებულების 2 პროცენტს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო 100 000 ლარის ზევით დავის საგნის შემთხვევაში სადავო საგნის ღირებულების 1,8 პროცენტს დღგ-ს ჩათვლით.

2. 4.8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა არ უნდა იყოს 300 (სამასიძ ლარზე ნაკლები დღგ-ს ჩათვლით და არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასიძ ლარს დღგ-ს ჩათვლით“.

3. 4.21 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე, საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა განახევრდება და მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფილობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შემცირდება 30 პროცენტით, ხოლო არბიტრაჟი პრეტენდენტის თხოვნით მოპასუხეს დააკისრებს პრეტენდენტის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ამასთან, ასეთ შემთხვევებში საარბიტრაჟო შენატანი არ შეიძლება იყოს დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

4. ეს ცვლილებები ძალაში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნებისთანავე. ცვლილებები დამტკიცებულია პარტნიორთა 2007 წლის 25 აპრილის კრების ოქმით.

მიმდინარე წლის 28-29 აპრილს 10-17 სთ, საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობის სახლის ეგიდით სტომატოლოგიურ კლინიკა „ულტრა-დენტ“-ში ჩატარდება საქველმოქმედო აქცია ქართველი და აზერბაიჯანელი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

აქციის მიზანია ამ კატეგორიის ადამიანებისათვის პირის ღრუს გამოკვლევა და ჩასატარებელი სამუშაოების აღრიცხვა.

კლინიკის მისამართია: ქ.თბილისი, ბახტრიონის ქ.№ 11 და ვაჟა-ფშაველას გამზ. № 25 ა.

ტელ: 36-60-48; 38-75-83.

კლინიკისა და მისი ფილიალის გენერალური დირექტორია – ექიმი-ორთოპედი ბიძინა ჩაჩანიძე.

# პეკინი — 2008

**უკეთ, ვიდრე ათენში!**

**დარჩა 470 დღე. ოლიმპიური ჩანართი №6**

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

**მილოცვა**

## ჩვენი წვლილიც ურევია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი გულითადად ულოცავს ქართველ ძიუდოისტებს და მოჭიდავეებს ბელგრადსა და სოფიაში კონტინენტის პირველობებზე ნაჩვენებ შედეგებს.

ევროპის ჩემპიონატებიდან ყოველი მეორე ქართველი სპორტსმენი სამშობლოში მედლით დაბრუნდა. მოპოვებულია სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სპორტსმენთა მომზადების მაღალ დონეს, მათს მონდომებასა და შრომისმოყვარეობას. შეჯიბრებებზე სრულად წარმოჩინდა ჩვენი ათლეტების სპორტული და ინტელექტუალური პოტენციალი. მიღწეული შედეგები, რა თქმა უნდა, განპირობებულია ნაკრები გუნდებისა და ათლეტთა პირადი მწვრთნელების მაღალი პროფესიონალიზმით, შესაბამისი ფედერაციების ხელმძღვანელობის გამართული საქმიანობით, სხვა სპორტული სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ წარმატებაში საქართველოს ოლიმპიური ფონდის წვლილს, რომელმაც დააფინანსა ძიუდოისტებისა და მოჭიდავეების ევროპის ჩემპიონატებისთვის მზადება და მასში მონაწილეობა.

კონტინენტის პირველობებზე მაღალშედეგიანი ასპარეზობა ნამდვილად კარგი განაცხადია რიო დე ჟანეიროსა (ძიუდოძ და ბაქოში (ჭიდაობაძ შემოდგომაზე გასამართი მსოფლიო სალიცენზიო ჩემპიონატების წინ.

გვჯერა, რომ ქართველ ძიუდოისტებსა და მოჭიდავეებს წინ არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება ელით.

სეოკი, ოლიმპიური ფონდი

**ჩემპიონი**

## ჩინეთისკენ — ოქროს ლაბირინთებით

**საქართველოს ძიუდოისტებს ევროპის ჩემპიონატებზე ამგვარი ნადავლი არასდროს მოუხვეჭიათ — ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი, მართლაც, შესანიშნავი მონაგარია. ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ლაშა გუჯეჯიანი და ნესტორ ხერგიანი — აი, ის ფალავნები, ვინც სახელი და დიდება მოუტანა სამშობლოს. მათგან**



**განსაკუთრებით გვინდა გამოვარჩიოთ დედოფლისწყაროელი ზაზა კედელაშვილი, რომელმაც შარშანდელი ტიტული შეინარჩუნა.**

— ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ავისრულე, — მითხრა გურამ მოდებაძის შეგირდმა. — მოგეხსენებათ, ჩემპიონობის მოპოვებაზე არანაკლებ რთულია მისი შენარჩუნება. მართალი გითხრათ, ბელგრადში ამაზე არც მიფიქრია. იქ მხოლოდ ერთი მიზნით გავემგზავრე — ყველა ორთაბრძოლა მომეგო და ეს შევძელი კიდეც. ყველაზე მეტად საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ტარიელ სონიშვილთან შერკინება გამიჭირდა. ჩვენ ერთმანეთის ჭიდაობის სტილს ვიცნობთ, რამდენჯერმე შევხვედრივართ კიდეც. ამჯერად ფორტუნა ჩემს მხარეს იყო.

**— პეკინის ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად ევროპის ჩემპიონობა არ იქნება საკმარისი...**

— ვფიქრობ, 2008 წლის თამაშების საგზურის მოპოვება არ უნდა გამიჭირდეს, რადგან კონტინენტზე ჩემს წონაში ლიდერი ვარ, თანაც ახლა 100 ქულა დავიმსახურე. სალიცენზიო ტურნირებს არ დაველოდები. ვეცდები, ოლიმპიადაზე გამგზავრების უფლება ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატზე გავინაღდო. საამისოდ ექვსეულში მოხვედრაც საკმარისი იქნება.

**— მთავარ მეტოქეებად ვინ გეყოლება?**

— ცხადია, უპირველესად რომელიმე იაპონელი. ჩემთვის უხერხული კონკურენტია ჰიროიუკი აკიმოტო. მასთან რამდენჯერმე დავმარცხდი. ისე, მირჩევნია, ნაკრებში ოლიმპიურ ჩემპიონს — მასატო უჩიშიბას თუ დააყენებენ. ასე მგონია, მას უფრო იოლად გავუმკლავდები.

ანგარიშგასაწევი ფალავნები არიან ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონი ჟოაო ჟუნიორი, კუბელი ოლიმპიური და მსოფლიო პრიზიორი იორდანის არენსიბია და სხვები. პირველ ექვსეულში მოხვედრა იოლი არ იქნება, მაგრამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებ.

**— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ალბათ, თავს დასვენების უფლებასაც მისცემდი...**

— მხოლოდ ორიოდე დღით, რადგან მომავალ უქმეებზე იტალიაში მსოფლიო თასზე მომიწევს გამოსვლა. ზაფხულიდან კი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სპეციალური პროგრამით მოვემზადები და ვეცდები, ქომაგები გავახარო.

**კრივი**

## კიევმა ბაქოს აჯობა

**საქართველოს მოკრივეთა ნაკრებისთვის მთავარ მწვრთნელად ავთანდილ შოშიაშვილის დანიშვნა ფეხბედნიერი გამოდგა. თავად განსაჯეთ: ამას წინათ ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა ბიჭებმა რვა მედალი მოიპოვეს, ხოლო კიევიდან, სადაც ძმები კლიჩკოების სახელობის ტურნირი გაიმართა, ქართველი სპორტსმენები ათი მედლით დაგვიბრუნდნენ. არადა, პირველობისთვის 25 ქვეყნის 160 წარმომადგენელი იბრძოდა.**

48 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზვიად ხადურმა მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო უკრაინის სახელით მოასპარეზე არტიომ დალაქიანთან და ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა.



ზვიად იზორიამ (51ძ მეოთხედფინალში კიეველ ევროპის ჩემპიონ მაქსიმ ტრეტიაკს კი სძლია, თუმცა ნახევარფინალში უზბეკ დანიეროვთან დამარცხდა და „ბრინჯაოს“ დასჯერდა. ასევე, მესამე ადგილზე გავიდნენ კობა ფხაკაძე (57ძ, ვასილ ყაზიშვილი (60ძ, დავით წიკლაური (81ძ და ბექა ლობჟანიძე (მძიმე წონაძ. ვერცხლის მედლები ხვდათ ლევან ღვამიჩავას (64ძ და კახა ჟვანიას (69ძ. განსაკუთრებით ისახელა თავი გიორგი ნაკანმა (75ძ, რომელმაც ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან ალჟირელი და ტუნისელი მეტოქეები. ნახევარფინალში უკრაინელთა სახელით მოასპარეზე არსენ მარტიროსოვთან პაექრობა ფრედ (15:15ძ დაამთავრა, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლები უკეთესი აღმოაჩნდა და ფინალში გავიდა. აქ კი ტრავმირებული რუმინელი რინალდი არ გამოცხადდა და ქართველი მოკრივე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ მან ბაქოს ტურნირშიც პირველი ადგილი დაიკავა.

სამწუხაროდ, 91 კილოში მოასპარეზე იაგო კილაძემ ნახევარფინალში ნოკაუტით წააგო აზერბაიჯანელ აგბაროვთან, რის გამოც 6 თვით დაემშვიდობა რინგს და ვერც მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს, სადაც პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის საგზურები გათამაშდება. ეს შეჯიბრება კი, მოგეხსენებათ, წლეულს შემოდგომით რუსეთის დედაქალაქში იყო დაგეგმილი, მაგრამ მოსკოვს მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს და პლანეტის უძლიერეს მოკრივეთა ფორუმი, სავარაუდოდ, კორეაში ან აშშ-ში გაიმართება.

**ბატუტზე ხოტმა**

## კვებეკმა დაგვაიმედა

**ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ლუბა გოლოვინა ბატუტზე მხტომელებს ოლიმპიურ იმედად მიაჩნიათ. დარწმუნებული ვართ, რომ იგი პეკინის თამაშების საგზურს აუცილებლად მოიპოვებს.** ლუბაც ყოველმხრივ ცდილობს, გულშემატკივრები არ გააწბილოს. ამას წინათ მან უფროსებში შესანიშნავად იასპარეზა კვებეკში (კანადაძ, სადაც მსოფლიო თასის გათამაშებაზე გამოდიოდნენ აღიარებული ოსტატები — რუსი ირინა კარავაევა, ჩინელი ჰვანგ შენშენი, კანადელი კარენ კოკბერნი და სხვები. გოლოვინამ 36,60 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა, არადა, სავალდებულო პროგრამის შემდეგ მეორე იყო.

კვებეკშივე თავი გამოიჩინა თენგიზ კოშკაძემ, რომელმაც პეკინში მოსახვედრი შედეგი აჩვენა. საგულისხმოა, რომ ნოემბერში ეს ქალაქი სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატსაც უმასპინძლებს.

**ოლიმპიურ ტალღაზე**

## რინგზე 286 მოკრივე გამოვა

**სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის (AIBA) ინფორმაციით, ოლიმპიურ ტურნირზე პეკინში 286 მოკრივე იასპარეზებს. სულ ოლიმპიადაზე მედლები 11 წონით კატეგორიაში გათამაშდება.**

ჩინეთის დედაქალაქში წამსვლელები პირველად მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვლინდებიან. მერე ერთ საკვალიფიკაციო ტურნირს ოკეანეთი უმასპინძლებს; ორ-ორი საკვალიფიკაციო შეჯიბრება აზიაში, ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში გაიმართება.

**ჭიდაობა**

## მთავარია მებრძოლი სულის შენარჩუნება

**საქართველოს მოჭიდავეებმა ესტაფეტა ძიუდოისტებისგან მიიღეს და ევროპის ჩემპიონატის ფინიშამდე ატარეს — მათაც ხუთი მედალი დაიმსახურეს, ოღონდ, „ჩოხოსანთაგან“ განსხვავებით, სამშობლოში ორი „ოქროთი“ დაბრუნდნენ. როგორც უკვე გაუწყეთ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მანუჩარ კვირკველია (74ძ და რამაზ ნოზაძე (96ძ ავიდნენ.**

სოფიის ხალიჩაზე მანუჩარმა ზედიზედ დააყრევინა ფარ-ხმალი რუს ანდრეი აფანასიევს, უკრაინელ დმიტრი პიშკოვს, ლიტველ ვალდემარას ვენცკაიტისს, სომეხ არსენ ჯულფალაკიანს, შვეიცარიელ რეტო ბუშეს და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. საგულისხმოა, რომ 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონმა 2002 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა (ფინიშში თურქ სერეფ ეროლლუსთან დამარცხდაძ, შარშან კი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.



მეორედ მოიგო კონტინენტის პირველობა ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რამაზ ნოზაძემ (96 კგ.ძ ოთარ ტატიშვილის შეგირდმა პირველ წარმატებას 2003 წელს მიაღწია. ამჯერად სოფიაში იოლად სძლია ნორვეგიელ ფარიც აანსენს, პოლონელ მარტინ ოლეინიჩაკს, ესტონელ მსოფლიო ჩემპიონ ჰეიკი ნაბის. ნახევარფინალში რუს მსოფლიო პრიზიორ ვასილი ტეპლიუხოვთან ორივე პერიოდი ფრედ დაასრულა, მაგრამ ბოლო ქულის უპირატესობით ფინალში გავიდა, სადაც შვედი ჯიმი ლედბერგის დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდა. ოლიმპიური თამაშების შემდეგ ნოზაძისთვის ევროპის ჩემპიონობა პირველი წარმატებაა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ყველაზე უკეთ გელა სალირაშვილი (74 კგ.ძ გაისარჯა. ქართველმა ფალავანმა ლატვიელ ანტანს აზარევიჩის ძლევის შემდეგ სამი ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი — საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ემზარიოს ბედინიდისი (ემზარ ბედინეიშვილი, რომელიც საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდაძ, გასომხებული რუსლან კოკაევი და პოლონელი კრისტიან ბრჟოზავსკი ჩამოიცილა გზიდან, ფინალში კი რუსეთელ ევროპის ორგზის და მსოფლიო ჩემპიონ მახაჩ მურთაზალიევს ვერაფერი მოუხერხა და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.

მას შემდეგ, რაც სახელოვანმა ჰაჯიმურატ გაცალოვმა (96ძ უარი თქვა სოფიაში გამოსვლაზე, გიორგი გოგშელიძის გამარჯვების შანსი ერთიორად გაიზარდა, მაგრამ მან ოქროს მედლის მოსაპოვებლად ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა — რუსეთელ შარვანი მურადოვთან წააგო (მურადოვი ჩემპიონი გახდაძ. გოგშელიძემ დამამშვიდებელ წრეში წარმატების ყველა იმედი გადაუწურა მეტოქეებს — ბულგარელ დიმიტარ კუმჩევს, უნგრელ დარდაი კიშს, რუმინელ მიჰაი სტროიას და, როგორც შარშან, ამჯერადაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მსგავს წარმატებას მიაღწია მძიმე წონაში ლექსო მოდებაძემ. ბრინჯაოსათვის გამართული ორთაბრძოლა მან უნგრელ ოტო ოზეის მოუგო.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენმა



ჩრდილოელმა მეზობლებმა შვიდიდან ხუთი ოქროს მედალი მოიხვეჭეს. ერთ-ერთის მფლობელი გახდა 84 კილოში ლერი ქეთიშვილის უმცროსი ძმა გიორგი კეტოევი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გადავიდა რუსეთში საცხოვრებლად. სხვათა შორის, ბესიკ კუდუხოვი, რომელიც 55 კილოში გახდა ჩემპიონი, ცხინვალშია დაბადებულ-გაზრდილი.

**აქვე დავძენთ იმასაც, რომ ბულგარეთის დედაქალაქის ხალიჩაზე ქართველ ფალავანთა მონაგარი ისტორიის კუთვნილება გახდა. მთავარია, მებრძოლი სული ბოლომდე შევინარჩუნოთ და ბაქოში მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე მედლებთან ერთად 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის საგზურებიც მოვიპოვოთ.**

გვერდი მოამზადა ვაჟა დანელიამ

# კულტურა

● თბილისში, რუსთაველის საზოგადოების ვრცელ დარბაზში გახსნილია ცნობილი ფერმწერისა და ხატმწერის რეზო ადამიას ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა – „პარიზული მისტიკა“ და „კოლხური თოვლის იდუმალება“



ამერიკის ელჩის მოადგილე მარკ პერი და მხატვარი მედეა კეიდია

**◉ გამოფენა**

# თავისთავადი მედეა კეიდია

## მხატვრის ნამუშევრები ამერიკის საელჩოში

**მედეა კეიდია თავისთავადი, გამორჩეული მხატვარია. მისი ხელწერა სუფთაა და ორიგინალური. იგი არავის არ ჰგავს ფერწერაში და თავად ცხოვრებაშიც, მისი სულიერი სამყარო დამუხტულია რწმენით და უფლის შეწევნით.**

დრო გადის, მოზღვავებულ გრძნობებს ფერებში გადმოსცემს და სულ უფრო და უფრო ფართოვდება მისი თვალსაწიერი.



მედეას ნახატები რამდენიმე კატეგორიად იყოფა. უპირველესად ეს გახლავთ ცის თემა, რომელიც მოიცავს ირეალურ სამყაროს, კოსმიურ სივრცეს – ღმერთის საბრძანებელს. იგი უკვე წელიწადზე მეტია მხოლოდ ანგელოზებს ხატავს, რაც მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს. უჩვეულო და ამოუხსნელია მისი აბსტრაქტული მხატვრობა, პორტრეტები კი სახიერი და ფაქიზია. მისი შემოქმედების განუყრელი თემაა ყვავილები. სხვადასხვა ფერში ამეტყველებული ამ ყვავილებიდან ბუნების ნამდვილი საოცრება გამოსჭვივის.

ოცი წელია ხატავს მედეა და ამ რთულ გზაზე მან სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ამას მოწმობს მნიშვნელოვან, საერთაშორისო დონის გამოფენებში მონაწილეობა. მის მხატვრობას გაეცნენ სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ჩიკაგოში, ფლორენციაში, გერმანიაში. მისი ნამუშევრები დაცულია აშშ-ში, იტალიაში, გერმანიაში, სანკტ-პეტერბურგში, ლონდონში, ეგვიპტეში, მოსკოვში, თურქეთში, საფრანგეთში.

მხატვრის პერსონალური გამოფენა მრავალჯერ გაიმართა თბილისში, რომელსაც მუდამ უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. ქართულ პრესაში არაერთი მაღალი შეფასება მიეცა ქალბატონი მედეა კეიდიას ნამუშევრებს.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მედეა კეიდიას ფერწერით ამას წინათ ამერიკის საელჩოც დაინტერესდა.

ეს სიხარული მხატვარს სრულიად მოულოდნელად ეწვია. ამერიკის საელჩოდან დაურეკეს და შესთავაზეს – თქვენი ნამუშევრების გამოფენას ვუმასპინძლებთო! იქამდე, ორი თვით ადრე, საელჩოში ნახატებს ფოტოებით გაეცნენ. ამერიკის ელჩს ძალიან მოეწონა მედეა კეიდიას ნამუშევრები. ეს ნახატები მალე USAID -ის შენობაში გადაინაცვლებს და იქაც ორ კვირას გასტანს.

მედეა კეიდიას მუშაობაში ყოველთვის გულითადად ეხმარებიან მეუღლე – ექიმი დემურ სალია და ერთადერთი ვაჟიშვილი, იურისტ-ფინანსისტი გური სალია. ისინი ცდილობენ ყოველნაირად შეუწყონ ხელი შემოქმედს თავისი შესაძლებლობების გამოვლენაში. ამ მყუდრო, ლამაზ ოჯახში ბედნიერებისა და მშვიდად საქმიანობის ნამდვილი იდილია სუფევს.

მედეა კეიდია კვლავაც ბევრს გვპირდება.

**ლალი ქინქლაძე**

# პარიზული მისტიკა და კოლხური თოვლის იდუმალება

**თბილისში, რუსთაველის საზოგადოების ვრცელ დარბაზში გახსნილია ცნობილი ფერმწერისა და ხატმწერის რეზო ადამიას ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა – „პარიზული მისტიკა“ და „კოლხური თოვლის იდუმალება“.**

ათ წელზე მეტია, რაც ქართველი მხატვარი საოცარ პარალელებს ავლებს პარიზსა და კოლხეთს შორის. კოლხური ზამთარი პარიზში და პარიზული მისტიკა თბილისში ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს. ორი მკვეთრად განსხვავებული სამყარო, შეფერილობა, განწყობა, იდუმალება... ერთ მხარეს თვალისმომჭრელ თეთრ სამოსში, თოვლის სისპეტაკეში გახვეული მეგრული ოდა, ჯარგვალი, დათოვლილი ხეები, გარინდული სივრცე... და მეორე მხარეს წითელყვითელი ფერადოვნება, დილის მზის ბრდღვიალება, ჩამავალი მზის შუქთა ასხლეტვა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის დიდებულება, სენას სანაპირო, ლუვრი, ნოტრდამი...

თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ რეზო ადამია მონაწილეობს თითქმის ყველა საზაფხულო და საშემოდგომო გამოფენაში არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აწყობს პერსონალურ თუ ჯგუფურ გამოფენებს, მაგრამ მის შემოქმედებაში ფრანგული მოტივების შემოსვლით ახალი წარმატებები იწყება.

1996 წელს, ქალბატონ ვალია ხაზალიას ხელშეწყობით, მისი მონაწილეობა საფრანგეთში, ბურგუნდიის დედაქალაქ დიჟონის საერთაშორისო გამოფენაში, მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა. ამას მოჰყვა პარიზში პერსონალური გამოფენა, სადაც მისი 50-მდე ნახატი გამოიფინა.



საფრანგეთში, საქართველოს კულტურის დღეებში, საქართველოს საელჩოში მოეწყო რეზო ადამიას ნახატების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო რეალურ მოტივებზე შექმნილი მისი კოლხური ზამთრის პეიზაჟები, „მარტვილის მონასტერი“, „შხეფის ციხე“, „წაჩხურისა და ნოქალაქევის ორმოც მოწამეთა ეკლესიები“ და სხვა.

„საქართველოს საელჩოს შტაბბინაში საოცრად „მოთოვა“, თანაც ეს თოვლი უშუალოდ კოლხეთიდან გამოგვიგზავნეს ერთი საოცრად ჩუმი და უპრეტენზიო, დიდი ფილოსოფიური ხედვის, მაგრამ საარაკოდ მორიდებული მხატვრის – ბატონ რეზო ადამიას ხელით... ქართველი მხატვრის კოლხურმა თოვლმა საოცრად გაათბო ჩვენი საელჩოს კედლები, სევდანარევმა სილამაზემ დაისადგურა აქ და უტყვი, მაგრამ ამაღლებული ლაღადით მოაჯადოვა ჩვენი გულები“, – აღნიშნეს საელჩოს წარმომადგენლებმა.

მაშინ იყო სწორედ, აღტაცება რომ ვერ დამალა ფრანგმა კინოვარსკვლავმა პიერ რიშარმა და შთაბეჭდილებათა წიგნში ბატონ რეზოს ასე ჩაუწერა: „საქართველოში ამ დაბრუნებამ სულის სიღრმემდე ამაღელვა. გმადლობთ და ბრავო!“.

ამ გამოფენას უამრავი საინტერესო და საქმიანი კონტრაქტი მოჰყვა. ფრანგმა ელენა პოლეტაევამ მხატვრის ცამეტი ნახატი შეიძინა, თან საკუთარი საგამოფენო გალერეა შესთავაზა პერსონალური გამოფენისათვის და სტუმრად ნორმანდიაში, ლა-მანშის სანაპიროს თვალწარმტაც ადგილას კოტანტენში და პორტბაიში, საკუთარ ვილაში მიიწვია.

შვიდი თვის განმავლობაში ხატავდა ბატონი რეზო ნორმანდიის ლაჟვარდოვან პეიზაჟებს, ლამანშის რუხი ფერის ზღვას, წითელსახურავიან, კონუსისებურ სახლებს და ორმოცამდე ტილოც შექმნა. ქართველი მხატვრის ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით აღფრთოვანებულმა ქალბატონმა ელენამ პორტბაის კომუნის პრეზიდენტის ბატონ გი რუილანის მხარდაჭერით პერსონალური გამოფენა მოუწყო. პორტბაის მერმა ანრი ვილიმ გამოფენას დიდი შეფასება მისცა, როგორც მხატვრული, ისე პოლიტიკური მნიშვნელობით და მას ფრანგი და ქართველი ხალხების და კულტურის დაახლოების კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი უწოდა.



ბატონი რეზოს შემოქმედებისათვის ურთულესი და უფაქიზესი თემაა ხატწერა, სადაც კანონიკური წესების სრული დაცვით, ინდივიდუალური ხელწერით ქმნის წმინდანთა ხატებს. „რეზო ადამია უბადლო ხატმწერიცაა და მისი ხელით შესრულებული წმინდა ნინოს და წმინდა მიქაელის ხატები საქართველოს უამრავ ეკლესია-მონასტერს ამშვენებს. ვიდრე პარიზს დატოვებდა, იგი პარიზის ქართული სათვისტომოს ეკლესიას ეწვია და ეკლესიის მოძღვარს მამა არჩილს საჩუქრად გადასცა წმინდა ნინოს დიდი ხატი, რომელზეც იგი ორი თვე მუშაობდა პარიზში“, – ამბობს პარიზში მცხოვრები ჩვენი კოლეგა ვლადიმერ ზარიძე.

„მსოფლიო ხელოვნების ცენტრში მეშვიდედ მიმიწვიეს. აქ მუშაობა ყველა მხატვრისთვის საოცნებოა, საუკეთესო გარემოა, სიმშვიდე, ყოველნაირად ხელს გიწყობენ, კარგი პირობებია, ყოველ საღამოს კლასიკური მუსიკის კონცერტი ეწყობოდა, – მეუბნება ბატონი რეზო, – ჩემთან ერთად ხშირად არიან ამერიკელები, ინგლისელები, ესპანელები... მაგრამ მხოლოდ ერთი წლით. ვერ იმუშავეს, ვერაფერი გაყიდეს და გული აუცრუვდათ. შემდეგში კი არ მოიწვიეს. წელიწადში ექვსი თვე პარიზში ვარ. ვხატავ პარიზულ სილამაზეს. მინდა კიდევ უფრო განვავითარო მისტიკა – მზის ამოსვლა და ჩასვლა. მაღალი ამოცანა დავისახე და პატარას მაინც თუ მივაღწევ, მერე აქ ჩამოვიტან და ჩემი საქართველოს პეიზაჟებს დავხატავ მისტიკაში“.

... უამრავი ხალხი დაესწრო გამოფენის გახსნას. ითქვა მრავალი საყურადღებო და საფერებელი სიტყვა მხატვრების, ხელოვნებათმცოდნეების, მწერლების, პოეტების, პარლამენტარების მიერ. დამთვალიერებელთა მოწონება და ინტერესი აშკარად მოწმობს ხელოვანის კიდევ ერთ გამარჯვებას.

მწერალმა ოტია იოსელიანმა, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა წყალტუბოდან რეზო ადამიას ნახატების გამოფენის გახსნაზე, ასეთი რამ ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში: „სამწუხაროდ, ჩვენს უძველეს კოლხეთს რეზო ადამიას ქმნილებები თუ გადაარჩენს. და საბედნიეროდ, მართალს თავისი სევდითა და მწუხარებით, როგორც მეგრული სიმღერებია, რომელსაც, როდესაც ისმენ, საქართველოს ისტორიას ფურცლავ. რეზო ადამიას „კოლხეთი“ ისაა, რასაც ეს-ესაა სულზე მივუსწარით და „გადავარჩინეთ“. ხელოვნება თუ სარკეა და თავისი დროის ასახვაა, ამ ნახატებში ჭეშმარიტადაა ასახული“.

მათ კი, ვისაც ჯერ არ უნახავს რეზო ადამიას პარიზული მისტიკა და კოლხური თოვლის იდუმალება, 2 მაისამდე რუსთაველის 12-ში, მე-5 სართულზე, რუსთაველის დარბაზი გელით.





**ლეილა ნოდია**

**სურათებზე: საქართველოს პრეზიდენტის ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში; პარიზი, ლუვრი, სენა; კოლხური თოვლის იდუმალება; გამოფენას ესტუმრა ქალბატონი ანა კალანდაძე.**

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



# განცხადება

## აუქციონების ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 23 მაისს, დღის 14 საათზე, ამბროლაურში, კოსტავას №33-ში (ამბროლაურის ყოფილი საოლქო საგადასახადო ინსპექციის შენობაში), კორპ.: „სოფლმშენკომპლექსის" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ადმინისტრაციული კორპუსი, ერთსართულიანი, ნაგები გვიშტიბის და თეთრი ქვის ბლოკით, საერთო ფართი 20X10 კვმ, ხის კარ-ფანჯარა, შეუმინავი, სახურავი აზბესტის შიფერის, შესაკეთებელია, შეფასებულია 5000 ლარად;

2. სამშენებლო მასალები, კუთხოვანა – 150 მმ, 50 მ, 600 ლარად, შველერი – 14 სმ-იანი, 125 მ, 1250 ლარად, შველერი – 18 სმ-იანი 5 მ, 60 ლარად, ბალკა – 40 სმ-იანი, 35 მ, 1050 ლარად, ხის კოჭი – 500 მ, 1500 ლარად, აზბესტის შიფერი – 250 ცალი, 1000 ლარად, რამა-ხერხი – 800 ლარად, მორების სახერხი (გაუმართავი) 600 ლარად, თვითნაკეთი სახერხი დაზგა 3 ცალი 900 ლარად, ქარხნული სახერხი 400 ლარად, ელ-კარადა 100 ლარად, ელძრავი 60 ლარად, ლითონის ჯართი 0,5 ტ. 100 ლარად.

3. ავტომანქანა: გაზ-53-12-01 (ავტოცისტერნა, გაუმართავი – 3200 ლარად, მაზი 5549 (თვითმცლელი, გაუმართავი) – 5000 ლარად, ზილი მმზ-45021 (თვითმცლელი, გაუმართავი) – 1800 ლარად, ზილ-130 (დაშლილი, გაუმართავი)– 350 ლარად, ზილ-130 ბ-1 (ცემენტ. ნახ. მის.) (დაშლილი) – 1200 ლარად, უაზ-452-დ (ბორტიანი, გაუმართავი) – 1400 ლარად, ზილ-157 (ბორტიანი) – 3500 ლარად, ზილ მმზ-554 (თვითმცლელი, გაუმართავი) – 1900 ლარად, ზილ-157-კდ (ბორტიანი) – 3500 ლარად, ზილ-431412 (ავტოამწე) – 17000 ლარად, კამაზ-5411 (თვითმცლელი) – 14500 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 66770 (სამოცდაექვსიათას შვიდასსამოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. №1.**

ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.

---

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 25 მაისს, დღის 14 საათზე, საჩხერეში, თავისუფლების №4-ში (საჩხერის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში), შპს „კეთილმოწყობის" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. სასტუმრო შენობა, მდებარე საჩხერეში, თავისუფლების №7-ში, სამსართულიანი, აგურის შენობა ზომით 10,3X33,4 კვმ, თეთრი მოთუთიებული თუნუქის გადახურვით, სართულშორისი გადახურვა ხის კოჭებით, რომელიც შეფასებულია 50112,68 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 50112,68 (ორმოცდაათიათას ასთორმეტი ლარი და სამოცდარვა თეთრი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემდეგ ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შეთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. №1.**

ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.

---

**ხსოვნა**

# თამარ კუკავა

2007 წლის 15 აპრილს 86 წლისა გარდაიცვალა პირველი ქართველი ფილოსოფოსი ქალი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თამარ კუკავა.

თამარ კუკავა დაიბადა 1921 წლის 7 იანვარს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში. 1938 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.



თამარ კუკავას ფილოსოფიის ისტორიის კურსს უკითხავდა აკად. კოტე ბაქრაძე, რომლის გავლენითაც გადაწყვიტა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით. ძველ ბერძნულ ენას ასწავლიდა პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი, რამაც განაპირობა მისი დისერტაციების თემატიკა.

1947 წელს ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პლატონის მოძღვრება იდეებზე და მისი კრიტიკა არისტოტელეს მიერ", ხოლო 1963 წელს – სადოქტორო დისერტაცია: „შემეცნების თეორიის პრობლემები ძველ ბერძნულ კლასიკურ ფილოსოფიაში".

პროფ. თ. კუკავა 1946 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1948-51 წლებში – თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1951-71 წ.წ. იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1971-2000 წ.წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ღრმად ერუდირებული, ბრწყინვალე ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ლექტორი, პროფ. თ. კუკავა ქართულ და რუსულ ჯგუფებში კითხულობდა ლექციების კურსს ესთეტიკაში. იგი დიდი სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტებსა და ასპირანტებს შორის.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო პროფ. თ. კუკავას სამეცნიერო მოღვაწეობა. 30 მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი მუშაობდა ანტიკური ფილოსოფიისა და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის, ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემებზე. ძველი ბერძნული ენის ბრწყინვალე მცოდნემ პროფ. თ. კუკავამ თარგმნა არისტოტელეს თხზულებანი: „მეტაფიზიკა," „პოლიტიკა", „რიტორიკა", „დიდი ეთიკა", „ნიკომაქეს ეთიკა", „სულის შესახებ".

აღსანიშნავია პროფ. თ. კუკავას ფუნდამენტური შრომები სოლომონ დოდაშვილის, იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირის, ფილადელფოს კიკნაძის, ანტონ პირველისა და დავით რექტორის შესახებ. მან პირველმა გამოაქვეყნა სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის მეთოდოლოგია", პირველმა მიაკვლია დოდაშვილის „რიტორიკის" დაუმთავრებელ ხელნაწერს. ამით პროფ. თ. კუკავამ სოლომონ დოდაშვილი გამოავლინა როგორც ლოგიკის პრაქტიკული გამოყენების ფუძემდებელი. პროფ. თ. კუკავამ გამოაქვეყნა იოანე პეტრიწის უცნობი პოეტური ნაწარმოები „წიგნი ათ ორ თთვისა", ეფრემ მცირეს „იამბიკოები".

პროფ. თ. კუკავამ დაუცხრომელი ძიების შემდეგ მიაკვლია სოლომონ დოდაშვილის საფლავს ქ.ვიატკაში და დიდი ღვაწლი დასდო მისი ნეშტის თბილისში გადმოსვენებას.

დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის მედლითა და ღირსების ორდენით.

პროფ. თამარ კუკავას მოღვაწეობა სამაგალითოა მისი აღზრდილებისათვის. მისი ხსოვნის საწინდარი კი მის მიერ დატოვებული მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობაა.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის წევრები:*

აკაკი ყულიჯანიშვილი, დავით ანდრიაძე, ლია წურწუმია, იდა ხელაძე, ციალა ხინთიბიძე, გულიკო გაგუა, ნანა გულიაშვილი.

№ 79. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

---

**გახსენება**

# ბესიკ ედიშერაშვილი



შვილო, ბესო, დღეს შენი დაბადების დღეა, ჩვენი ოჯახის ბურჯო და საფიცარო. დღეს ბაგებში, შენს საფლავთან მოვლენ უახლოესი ადამიანები, შენი მშობლების, დაძმების, ძმისწულების, დისწულების, ცოლ-შვილის მეგობრები და ახლობლები, ყველა ისინი, ვისთვისაც შენი სიყვარული და ხსოვნა გაუხუნარია, შენი სახელი კი უკვდავია... ბაგები, შენი საყვარელი მშობლიური კერა, ალბათ ამაშიც არის რაღაც მნიშვნელოვანი და მიმანიშნებელი, აქედან ხომ ხელისგულივით მოსჩანს თბილისი და ტაძრის მიმდებარე ადგილი, სადაც დამთავრდა შენი ამქვეყნიური ცხოვრება.

ან, როგორ შეიძლება გახუნდეს შენი ხსოვნა და წაიშალოს შენი სახელი, როცა ესოდენ დიდი ადგილი გეკავა ჩვენს გარემოში, შენი ქართული ვაჟკაცური გარეგნობით, ჭირსა თუ ლხინში შენი გვერდში ყოფნის იმედით, სიკეთით, ალალ-მართლობით...

შვილმკვდარ დედას უფალი გზას უთმობსო... უფალი ალბათ იმის ძალასაც აძლევს გულმოკლულ დედას, რომ კლდედ იქცეს და გაუძლოს ამ სატანჯველს, რათა შენს დანატოვარ ვაჟკაცებს გზა გაუკაფოს და შენსავით სამაგალითო მოქალაქეებად აღზარდოს. და რაც მთავარია, უფალი ძალას აძლევს, რომ ჭირისუფლის გლოვა და ძაძა ღირსეულად ატაროს და ისეთ მნიშვნელოვან დღეებში, რომელიც შენს სახელს უკავშირდება, შენი საკადრისი მასპინძლობა გაუწიოს ოჯახის ერთგულებს.

და ისე, როგორც დღეს, ყოველთვის გწამდეს, რომ შენს საფლავზე აინთება სანთელი, დაილევა შენი სადღეგრძელო და გულში იქნება იმედი იმისა, რომ ჩვენი სულები უეჭველად შეხვდებიან ერთმანეთს.

მშობლები უშანგი, ცისანა, და-ძმანი, ცოლ-შვილი

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის, თსუ პროფესორის

რევაზ სურგულაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ გიორგი მაღალაშვილს მეუღლის

მარგარიტა მახარაძის

გარდაცვალების გამო.

---

ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ ცენტრის თანამშრომლის ნანა ადამიას ძმა

არჩილ ადამია

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32; 899 328576

# ბოლო გვერდი

● თინამ აღიარა, რომ პლასტიკურ ოპერაციაზე ოცნებობს... ტუჩების გასამსხვილებლად (მკერდის ზომებს არ უჩივის...ძ

## თარიღი


თანადგომა

აკაკი ხორავა

ოთელო!

# გენიას რა დაგვავიწყებს...

თეატრალებს რა დაავიწყებთ და, ბატონმა ანზორ ბაბუხადიამ, თავისი უნიკალური გაზეთ „თანადგომით“ სხვებსაც შეახსენა, რომ კვირას, 29 აპრილს გენიალური აკაკი ხორავას დაბადების დღეა – 112-ე წლისთავია. „თანადგომის“ ახალი ნომერი მთლიანად ამ თარიღს ეძღვნება და სავსეა შესანიშნავი მასალებით, რომელთა ავტორები – ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი – რეზო ჩხეიძე, აკაკი დვალიშვილი, ზურაბ ლეჟავა, გიორგი ხარაბაძე, ნათელა ურუშაძე, ვასილ კიკნაძე, გოგი დოლიძე, მერაბ გეგია გულთბილი მოგონებებით აცოცხლებენ ლეგენდარულ მსახიობს, პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს...

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის თავკაცის, პროფესორ გოგი დოლიძის წერილით, მაგალითად, ვიგებთ, რომ ჩოხოსან რაინდთა დასი, თურმე, ყოველ წელს, 29 აპრილს ადის მთაწმინდის პანთეონში და პატივს მიაგებს ქართული სცენისა და ეკრანის დიდოსტატის ხსოვნას. რაღა თქმა უნდა, ასე იქნება წელსაც – გოგი დოლიძე და ჩოხოსნები „ხორავას დღეს“ „უკვდავთა სავანეში“ აღნიშნავენ.

სამაგალითოა, არა?!

ვილენ მარდალეიშვილი

## ჩვენებურზე



# უკრაინის ქალი თიინაო...

**მოსკოველი ტელესაოცრება თინა კანდელაკი პეტერბურგს რამდენიმე საათით ეწვია ერთი გლამურული საღამურას წასაყვანად. ჟურნალისტებს მან სასიხარულო ამბავი გაანდო:**

– ხელშეკრულება გავაფორმე ძალიან მსხვილ ესპანურ კომპანიასთან და როლიკის გადაღებებზე გავფრინდები. სილამაზეს გავუწევ რეკლამირებას! ამასთან, დიდი ხანია, რაც ესპანეთში სახლის ყიდვა მწადია. ჰოდა, მოვიძიებ კიდევაც.

თინამ აღიარა, რომ პლასტიკურ ოპერაციაზე ოცნებობს... ტუჩების გასამსხვილებლად (მკერდის ზომებს არ უჩივის...ძ:

– აღფრთოვანებული შევცქერი იმ სურათებს, სადაც ამოზურცულზაგეებიანი ვარსკვლავები არიან გამოსახულნი; ტუჩების ცოტა გასქელება გადავწყვიტე, თუმცა ქმარი, პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტი, ჯერჯერობით ყოველგვარ ჩარევას მიკრძალავს, თანაც ამას ერთობ არგუმენტირებულად აკეთებს. ამბობს, რომ ნებისმიერი სპეციალისტი უმალვე შენიშნავს ბაგეების გაბერვას ან სხეულის რომელიმე ნაწილის შეცვლას. და რომ ეს ყველაფერი არაბუნებრივია და არამიმზიდველი. მე კი ისე მინდა!..

ტელევარსკვლავი პირდაპირ ბრწყინავდა ახალ ელეგანტურ კაბაში და ოქროს სამკაულებით – მასიური ყელსაბამითა და საყურეებით, ბევრს ხუმრობდა და კეკლუცობდა.

– ის მამაკაცები აღმაგზნებენ, რომლებიც როიალზე უკრავენ და ლექსებს კითხულობენ. ასეთებისგან ეგრევე თავგზა მებნევა. იმათ რიცხვს პირველ რიგში რაიმონდ პაულსი მიეკუთვნება.

**რუსეთული პრესის მიხედვით**

## კარიკატურისტის თვალით



– მადლობა ღმერთს, დღეს არავინ მოუკლავთ!..

ამირან ერაძის ნახატი.

## დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 25 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა სს „კოლხა-98“-ის აქციონერთა საერთო კრების შესახებ განცხადება. კრების ჩატარების თარიღი ნაცვლად 26 აპრილისა, უნდა იყოს 2007 წლის 17 მაისი.

## სს „ხაშურის მინის ტარას“ აქციონერთა საყურადღებოდ

**გაცნობებთ, რომ 2007 წლის 17 მაისს, 14 საათზე, მისამართზე: ქ. ხაშური, იმერეთის გზატკეცილი №2 გაიმართება სს „ხაშურის მინის ტარას“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განთავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ახალი შემადგენლობის დამტკიცება.

საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2007 წლის 12 აპრილი.

ამასთან გაცნობებთ, რომ დღის წესრიგზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს რეკომენდაციები და შენიშვნები არ გააჩნიათ.

გთხოვთ, 2007 წლის 7 მაისიდან 16 მაისამდე გაიაროთ რეგისტრაცია საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად სს „ხაშურის მინის ტარას“ კანცელარიაში, მისამართზე: ქ. ხაშური, იმერეთის გზატკეცილი №2.

*პატივისცემით, დირექტორი*
**თენგიზ კვიციანი**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-96-32; 899 328576**

## ანეკდოტები

რუსული აბანო. ზედა თაროზე მოხუცი ქალი წევს. ქვევით მომხიბლავი გოგო იბანს ტანს, ეფერება, თაფლით იზელს მოხდენილ სხეულს, ტკბება საკუთარი სილამაზით.

– ძალიან ლამაზი ხარ, შვილო, – ეუბნება მოხუცი.

– კი, ლამაზი ვარ, – კეკლუცობს გოგო.

– ალბათ ბიჭები სულ კუდში დაგდევენ, ვერ იცილებ, არა?



– კი, დამდევენ, – უფრო მეტად კეკლუცობს ლამაზმანი.

– შენ კი არავის ნებდები, არა?

– არავის ვნებდები, – ამაყად უპასუხებს გოგო.

– ეჰ, შვილო, რომ იცოდე, ბოლოს როგორ ინან-ე-ე-ებ...

* * *

– მიხო, რა ქენი, დოკუმენტი მოიტანე? – ეკითხება დირექტორი.

– წამოღება დამავიწყდა, – თავში ხელი შემოირტყა მიხომ.

– ხომ გითხარი, რაკი ასეთი გულმავიწყი ხარ, დავალება ჩაიწერე-მეთქი!

– ჩავიწერე, მაგრამ რომ დამავიწყდა, სად ჩავიწერე?!

* * *

ორი სვანი ავტობუსში ავიდა.

– ეს ავტობუსი სადგურში მიმიყვანს? – ეკითხება ერთი მათგანი მძღოლს.

– არა.

– მე? – ახლა მეორე შეეკითხა მძღოლს.

* * *

რა განსხვავებაა ბავშვსა და მამაკაცს შორის?

პრინციპში არანაირი. ოღონდ ის კი არის, რომ ბავშვის ახალგაზრდა ძიძასთან მარტო დატოვება შეიძლება.

* * *

– შვილო, გემუდარები, ნუ მისთხოვდები იმ კაცს! – ეხვეწება დედა გოგოს.

– დედი, მე ხომ დიდი ხნით არ მივყვები...

* * *

დაიჭირა ივანიჩმა ოქროს თევზი.

–გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ! – შეეხვეწა თევზი.

– კარგი. პირველი სურვილი: მინდა, რომ ალკოჰოლური ჰალუცინაციები არ მაწუხებდეს. მეორე... ეი, ეი, სად გაქრი, ოქროს თევზო?

* * *

– ასე ვინ დაგკბინა? – ეკითხება ძმაკაცი პეტკას.

– ჩემმა ძაღლმა.

– ეს როგორ?

– სახლში ფხიზელი დავბრუნდი და ვერ მიცნო.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები

შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.

შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.